სარჯიელი

სპორტული გაზეთი ოთხშაბათი 29 ნოემბერი 2006 №276 (2898) ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

VOLKS WAGEN
ხალხია, მანქანა
ნაკლებით!

სტი-აუუუ!

გაიჯეჯილა ჯიჯიმ: მსაჯის ნამუსი 200 ათას ევროდ

ორი კვირის წინ იყო, ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის მატჩის ჩაწყობის მცდელობაზე რომ ვწერდით. უფრო ადრე კი იყო უფრო ხმაურიანი სკანდალი „იუვენტუსისა“ და სერია A-ს თავს. კიდევ უფრო ადრე — მამაძაღლობა გერმანელი არბიტრებისა, გრობელაარის საქმე, ჩვენთვის აგრერიგ მტკივნეული „დინამო“ — „ლინფილდი“ თავისი თურქი მსაჯებით, კიევის „დინამოს“ დისკვალიფიკაცია და ვინ მოთვლის, კიდევ რამდენი დაუმტკიცებელი ეჭვი.

გუშინ კი ჩაწყობილ მატჩთა თემა ჩემპიონთა ლიგასაც გადასწვდა. კიევის „დინამოს“ რუმინელმა ნახევარმცველმა ფლორინ ჩერნატმა თქვა, რომ მის სამშობლოში ეჭვობენ, „სტიაუა“ — „დინამოს“ მატჩის შედეგი წინდაწინ იყო გადაწყვეტილიო.

ეს გარიგება, ცხადია, ზეცაში არ გადაწყვეტილა, მიწიერი წარმომავლობა აქვს და 200 ათას ევროდ ფასობს — წერს „გაზეტა პო უკრაინსკი“. ამავე წყაროს ცნობით, ამ 200 ათასის მიმცემი „სტიაუას“ მეპატრონე ჯიჯი ბეკალი გახლავთ, მიმღები კი იმ მატჩის არბიტრი იაროსლავ იარა. სწორედ ამ ფასად შეფასდა „სტიაუა“ — „დინამოს“ 1:1 და სწორედ ამ ფასად არ ჩაუთვალა იარამ კიეველებს ორი გოლი.

ეს საქმე კი, თუ უეფამ ბოლომდე გამოძიება შეძლო და აღებ-მიცემა დაამტკიცა, ჩეხ არბიტრს სამუდამო დისკვალიფიკაციად დაუჯდება.

არადა, ლიგამ მთელი ათი წელი გაძლო უსკანდალოდ. გარიგების ბოლო ფაქტი 1996 წლით თარიღდება, როცა შვეიცარიული „გრასჰოპერის“ სურვილი, ფრანგული „ოსერი“ დაემარცხებინა, 68 ათას დოლარად შეფასდა.

ინფლაცია, ბატონებო, ინფლაცია...

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

У НАЛЬЧИКА ХОРОШИЙ МАЛЬЧИК!

ჯობი, დემე და ახლა გოგუა

ბადრი კეთილაძის ფოტო

დიმიტრი რამიშვილი, ტარიელ ხეჩიკაშვილი და გიორგი ნემსაძე

პასი-პასაჭი ფოლკსვაგენისგან სუპერთასი ღირს!

„ფოლკსვაგენის თასი“ — საქართველოს სუპერთასს გუშინ უკვე ოფიციალურად ეწოდა ამ ცნობილი საავტომობილო ბრენდის სახელი და კიდევ სამი წელიწადი ასე იქნება. საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგის პრეზიდენტმა დიმიტრი რამიშვილმა და „იბერიაბიზნესჯგუფის“ პრეზიდენტმა ტარიელ ხეჩიკაშვილმა სამწლიანი თანამშრომლობის კონტრაქტი გუშინ სასტუმრო „მერიოტში“ გააფორმეს. ასე იქცა სუპერთასი „ფოლკსვაგენის თასად“, რომლის პირველი გათამაშებაც პარასკევს „მიხეილ მესხზე“ შედგება. თასსა და მასთან ერთად „ფოლკსვაგენის“ დაწესებულ 10 ათას ლარს ერთმანეთს საქართველოს ჩემპიონი ბოლნისის „სიონი“ და ქვეყნის თასის მფლობელი თბილისის „ამერი“ შეეცილებიან...

მაშ ასე, პროფლიგამ ამ სამ კვირაში უკვე მესამე და სახელიანი სპონსორი შეიმატა, აქამდე იყო „ყაზბეგი“ და დეველოპერული კომპანია „აქსისი“, ახლა „ფოლკსვაგენი“, რომლის დამფუძნებელიც საქართველოს ნაკრების ყოფილი კაპიტანი გიორგი ნემსაძეა. „ფოლკსვაგენთან“ კონტრაქტის გაფორმებამდე კი პროფლიგისა და „იბერიაბიზნესჯგუფის“ ხელმძღვანელებმა თქვეს...

დიმიტრი რამიშვილი: თავდაპირველად, მსურს, შემთხვევით ვისარგებლო და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტ ნოდარ ახალკაცს ვაჟის დაბადება მივულოცო. ასევე დიდ წარმატებას ვულოცავ საქართველოს მორაგბეთა ნაკრებს, რომელმაც მსოფლიოს თასზე თამაშის უფლება მოიპოვა...

— სასიამოვნო და ქართული ფეხბურთისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, პროფესიული ფეხბურთის ლიგას კიდევ ერთი ახალი სპონსორი რომ ჰყავს და ეს ისეთი ცნობილი ბრენდია, როგორიც არის „ფოლკსვაგენი“. გვსურდა, ისეთი პროდუქტი შეგვექმნა, რომელიც სპონსორებს დააინტერესებდა და, როგორც ხედავთ, შევძელით კიდეც. პროფლიგისა და „ფოლკსვაგენის“ თანამშრომლობა სამწლიანი იქნება. სწორედ ამ კომპანიამ იკისრა სუპერთასის გათამაშების ყველა საორგანიზაციო ხარჯი და ამას გარდა გამარჯვებულისთვის ფულად ჯილდოდ 10 ათასი ლარი დააწესა. ეს თანხა „ფოლკსვაგენის თასის“ მომდევნო გათამაშებისთვის ალბათ კიდევ გაიზრდება.

— პირველ დეკემბერს „მიხეილ მესხზე“ ბილეთები არ გაიყიდება, „ფოლკსვაგენის“ თხოვნით, „ფოლკსვაგენის თასის“ პირველი გათამაშება ქომაგებისთვის უფასო იქნება, კომპანია გულშემატკივრებს ერთგვარ საჩუქარს უკეთებს.

— გუნდი, რომელიც „ფოლკსვაგენის თასს“ სამჯერ მოიპოვებს, ამ თასს სამუდამო მფლობელობაში დაიტოვებს. გაისიდან კი „ფოლკსვაგენის თასი“ სეზონის დაწყებამდე გათამაშდება. იქამდე „ფოლკსვაგენის თასის“ დებულებაც უფრო დაიხვეწება და ისიც გაირკვევა, დუბლის გაკეთების შემთხვევაში ამ გუნდის მეტოქე ვინ უნდა იყოს.

— 3 დეკემბერს საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრები მალტაზე ამხანაგური მატჩების ჩასატარებლად მიემგზავრება. გამოძახებულთა შორის თბილისის „ამერის“ რამდენიმე ფეხბურთელია და ამიტომაც დავნიშნეთ ეს შეხვედრა 1 დეკემბრისთვის. ხოლო დავით ყიფიანის სახელობის თასის „ყაზბეგის“ გათამაშების მატჩები, „სიონის“ და „ამერის“ მონაწილეობით, 5 დეკემბერს გადავიტანეთ. ამინდის პროგნოზიც გავითვალისწინეთ, აცივდებაო, თქვეს და „ფოლკსვაგენის თასის“ გათამაშებაც მომავლისთვის აღარ გადავდეთ. იმედი გვაქვს, 1 დეკემბერს „მიხეილ მესხზე“ ბევრი მაყურებელი იქნება, თანაც, ვიმეორებ, დასწრება უფასოა.

გიორგი ნემსაძე: ვუერთდები დიმიტრი რამიშვილის მილოცვებს. მოკლედ ვიტყვი, რომ „ფოლკსვაგენის“ დამფუძნებელი ვარ და, როცა პროფლიგისგან ასეთი საინტერესო წინადადება მივიღეთ, თანხმობაც დაუფიქრებლად განვაცხადეთ. ჩვენი კომპანია ყოველთვის ქართული ფეხბურთის გვერდითაა და მომავალშიც ასე იქნება.

ტარიელ ხეჩიკაშვილი: ქართველებს ერთმანეთის მისალოცი არ დაგვკლებოდეს. ვულოცავ ნოდარ ახალკაცს ვაჟის დაბადებას, ქართველ მორაგბეებს კი მსოფლიოს თასზე გასვლას. ჩვენი კომპანია ქართული ფეხბურთისთვის უცხო არაა და სასიამოვნოა, რომ ამჯერადაც მოგვეცა თანამშრომლობის საშუალება. თანაც, გასაგებ მიზეზთა გამო ფეხბურთთან ჩვენ უფრო მჭიდრო ურთიერთობა გვაქვს, გიორგი ნემსაძე ხომ „ფოლკსვაგენის“ დამფუძნებელია. ახლა პროფლიგასთან ერთად კიდევ ერთი კარგი საქმის კეთებას ვიწყებთ. დიდი იმედი გვაქვს, რომ მომავალში ჩვენი გერმანელი პარტნიორების დაინტერესებასაც შევძლებთ და „ფოლკსვაგენის თასის“ საპრიზო ფონდი უფრო გაიზრდება, გათამაშება კი მეტად პოპულარული და საინტერესო გახდება. ახლა ცაიტნოტის გამო კიდევ ბევრი რამ ვერ მოვასწარით, მაგრამ სტადიონზე ალბათ ქომაგი მრავლად იქნება, მატჩიც თვალსაჩინო გამოვა.

— მადლობა პროფლიგას ასეთი საინტერესო წინადადებისთვის. ჩვენ სუპერთასის გარდა ეროვნული ჩემპიონატის და ქვეყნის თასის სპონსორებიც ვიქნებით, ასე ვთქვათ, კომპლექსური თანამშრომლობა გვექნება. პროფლიგის შემოთავაზება კი იმდენად მიმზიდველი იყო, უარის თქმა არ შეგვეძლო.

კობა ინასარიძე

რუსებმა გოგუას ახალი ბედი დაუფასეს



რუსული პრემიერლიგის პირველივე სეზონი წარმატებული გამოდგა ნალჩიკის „სპარტაკის“ ქართველი ლეგიონერის, გოგიტა გოგუასთვის. გოგუამ შესანიშნავი სეზონი ჩაატარა ნალჩიკელთა შემადგენლობაში და ახალი სეზონიდან გუნდს გამოიცვლის. გოგუას შეძენის მსურველთა შორის მოსკოვის „ლოკომოტივთან“ და რამენსკოეს „სატურნთან“ ერთად გერმანულ კლუბებსაც ასახელებენ. გოგუას პირადი კონტრაქტი „ხიმკის“ ყოფილ პრეზიდენტთან ანდრეი ჩერვიჩენკოსთან აქვს და სწორედ ის გადაწყვეტს ქართველი ფეხბურთელის მომავალს.

გოგუას კარგი სეზონი არც ჩრდილოელ ჟურნალისტებს გამორჩენიათ. რუსული პრემიერლიგის დასრულებისთანავე „სპორტ-ექსპრესმა“ სხვადასხვა ნომინაციაში საუკეთესო ფეხბურთელები გამოავლინა. საყრდენ ნახევარმცველთ შორის გოგიტა გოგუამ მესამე ადგილი დაიკავა და მცირედით ჩამორჩა არმიელ ელვერ რახიმიჩს და მოსკოვის „სპარტაკის“ ბრაზილიელ ლეგიონერ მოცარტს.

სამაგიეროდ, „სპორტ-ექსპრესმა“ გოგუა პრემიერლიგის საუკეთესო ახალწვეულად დაასახელა. ქართველმა ფეხბურთელმა საკმაო უპირატესობით ჩამოიტოვა კონკურენტები.

საინტერესოა, რომ ამავე ნომინაციაში თავის დროზე საუკეთესოდ ლევან კობიაშვილი (1997 წელს) და გიორგი დემეტრაძე (1998 წელს) მიიჩნიეს.

მთლიანად პრემიერლიგის საუკეთესო ფეხბურთელთა შორის გოგუა ჟურნალისტებმა მეთექვსმეტე ადგილზე გაიყვანეს, ხოლო გულშემატკივრებმა — მეათეზე.

თავიანთ ნომინაციებში საუკეთესობა ლოკომოტიველ მალხაზ ასათიანს და „კრილია სოვეტოვის“ შემტევ ნახევარმცველი დავით მუჯირსაც შეეძლოთ, მაგრამ ქართველ ფეხბურთელებს ხელი ტრავმებმა შეუშალა.

მიხეილ ჟორჟოლიანი

სარბიელელები ვულოცავთ
საქართველოს ფეხბურთის
ფედერაციის პრეზიდენტ
ნოდარ ახალკაცს ვაჟის
გიორგის
დაბადებას

ფეხბურთის ჯლუბი ამერი ულოცავს
საქართველოს ფეხბურთის
ფედერაციის პრეზიდენტ
ნოდარ ახალკაცს ვაჟის
გიორგის
დაბადებას

ინგლისი

პრემიერლიგა. XV ტური

უოტფორდი 0:1 შეფილდი

ჩემპიონატი. XX ტური

ბარნსლი 2:0 საუთენდი
ბარნლი 2:1 ლიდსი
კოლჩესტერი 5:1 ჰალი
ნორვიჩი 3:1 ლესტერი
პლიმუთი 1:0 ლუტონი
პრესტონი 1:1 ქოვენთრი
უენსდი 3:1 ვესტ ბრომვიჩი
სტოკი 3:0 კარდიფი
ვულვზი 1:1 კრ. პალასი
ძპრ 1:2 სანდერლენდი

LDV თასი. 1/4 ფინალი

დარლინგტონი 1:0 მენსფილდი
ჩელტენემი 2:3 შრიუსბერი
დონკასტერი 2:0 აკრინგტონი
მილუოლი 1:1 დ.დ. (2:3პ, 1:1) ბრაიტონი

იტალია

თასის მეოთხედფინალი

საპასუხო მატჩი

ბრეშა 1:2 მილანი (2:4)

შოტლანდია

თასი

II რაუნდი

ძუინზ პარკი 1:2 ბრეჩინი

ავსტრია

პირველი დივიზიონი

XIX ტური

ადმირა 1:3 ლინცერი
ლუშტენაუ 1:1 ლეობენი
გრატკორნი 2:0 აუსტრია (მ)
კაპფენბერგი 3:0 აუსტრია (ლ)
კარნტენი 0:1 პარნდორფი
შვანენშტადტი 2:1 ჰარტბერგი

გურამ დოლიძეგიორგაძვილის ფოტო

ნიკა გელაშვილმა ნახევარმცველებს გოლები დაუთვალა

თბილისის „ვიტ ჯორჯია“ საქართველოს ჩემპიონატის ერთ-ერთი ყველაზე სიმპათიური გუნდია. ვეტერინარები ყოველთვის გამოირჩევიან დაბალანსებული შემადგენლობით — კლუბს თითქმის ყოველი სეზონის შემდეგ ტოვებს რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელი, თუმცა მათ სრულფასოვან შემცვლელს ვიტელები ყოველთვის პოულობენ. მიმდინარე სეზონში ვიტჯორჯიელთა ერთ-ერთ მთავარ დამრტყმელ ძალად ნიკა გელაშვილი იქცა — ვეტერინართა ახალგაზრდა თავდამსხმელმა პირველ წრეში რვა ბურთის გატანა მოახერხა და ბომბარდირთა დავას სათავეში უდგას...

— ჩემი თამაშით კმაყოფილი ვარ, თუმცა მეტის გატანა მმართებდა. თავდამსხმელი ვარ და რვა ბურთი შევაგდე, ამ დროს შვიდ-შვიდი გოლი ნახევარმცველებმაც კი გაიტანეს. იმედი მაქვს, მეორე წრეში მოვუმატებ.

— ბოლო წლებში ტრადიციად იქცა — პირველი წრის შემდეგ ბომბარდირი თითქმის ყოველთვის ვიტჯორჯიელია...

— ეს გასაკვირიც არ არის. ჩვენ შემტევ ფეხბურთს ვთამაშობთ და ერთ-ერთი ყველაზე შედეგიანი გუნდი გვყავს ეროვნულ ჩემპიონატში.

— ვიტელთა საუკეთესო მეგოლე ოთარ მარცვალაძე შარშან კიევის „დინამოში“ გადავიდა. უახლოეს მომავალში შენც ხომ არ აპირებ უცხოურ კლუბში წასვლას?

— ჯერჯერობით არანაირი შეთავაზება არ მაქვს, თუმცა იმედია, უფრო ძლიერ ჩემპიონატში და უკეთეს გუნდში ვითამაშებ.

— საქართველოს ჩემპიონატში ყველაზე მეტად რომელი კლუბის მცველებთან გაგიჭირდა თამაში?

— პირველი წრით თუ ვიმსჯელებთ, ყველაზე ძლიერი დაცვა რუსთავის „ოლიმპს“ ჰყავს. ძალიან გამოცდილი ფეხბურთელებით არის დაკომპლექტებული და მათ მცველებთან თამაში გამიჭირდა.

— „ვიტ ჯორჯიამ“ სუსტად დაიწყო ჩემპიონატი, თუმც შემდეგ თანდათან მოუმატა...

— საწყის ტურებში შეთამაშება გვაკლდა. მერე თანდათან შევეწყვეთ ერთმანეთს, უკეთ გავუგეთ თანაგუნდელებს... თანაც „ვიტ ჯორჯია“ ძალიან მეგობრული გუნდია და შესაძლოა, ჩვენი ძალაც ამაშია.

— ყველაზე მეტად ვისი პასები გეხმარება ბომბარდირობაში?

— თითქმის ყველასთან შეთამაშებული ვარ, მაგრამ გამორჩეულად ალბათ დავით დიღმელაშვილს დავასახელებ. ის ძალიან კარგად ხედავს მოედანს და არასოდეს დაგიგვიანებს პასს.

— ამ სეზონში რას გეგმავთ?

— პირველ წრეშიც გამოჩნდა, რომ ხელწამოსაკრავი გუნდი არ გვყავს და ჩემპიონობისთვის ბრძოლა შეგვიძლია, თუმცა, რა თქმა უნდა, ეს ადვილი არ იქნება — ძალიან სერიოზული კონკურენტები გვყავს.

— კერძოდ?

— „ამერი“ და „ზესტაფონი“.

მიხეილ ჟორჟოლიანი

რალაც ცუდი ხვეულები ვითომ დამთხვეულები?

გადრი ჯიმილაძის ფოტო

ფეხბურთში და ზოგადად ცხოვრებაში დამთხვევებს რა გამოლევს, მაგრამ აქ სხვა „დამთხვევასთან“ გვაქვს საქმე. ბრჭყალები უადგილოდ არ ჩათვალოთ, რადგან...

„ვიტ ჯორჯია“ — „ამერის“ პირველი ტაიმისას გვერდითმა მსაჯმა ლევან მიქელაძემ ამერელთა გულშემატკივარს შეაგინა, უფრო სწორად, გინებას გინებითვე უპასუხა... ცხადია, გულშემატკივართა ნამეტანი ავყიობა მოსაწონი ვერ იქნება კი არა და, დასაგმობიც არის, მაგრამ გინება მსაჯისგან?! ის, რაც ეპატიება იუპიტერს, არ ეპატიება ხარს! იქ, სადაც მსაჯი მაყურებელს აგინებს, ფეხბურთის ყველა წესი და თავად ფეხბურთი კვდება. მიქელაძე ერთ-ერთი კვალიფიციური მსაჯია საქართველოში და ამ მატჩში მის მიმართ წმინდა საფეხბურთო საკითხში პრეტენზიები არავის გასჩენია. აქ ლაპარაკია გინებაზე!

ახლა დახეთ „დამთხვევებს“: „ამერის“ ქომაგებს ბოლო ორ კვირაში მეორედ მოხვდათ მსაჯისგან გინება! გეხსომებათ, ეს პირველად „ამერი“ — „ლოკომოტივის“ შეხვედრისას მოხდა, როცა მთავარმა მსაჯმა მალხაზ ბეუქლიშვილმა ორჯერ გამოსცრა სალანძღავი სიტყვები „ამერის“ ტრიბუნისკენ.

იბადება კითხვა: რატომ ამოირჩიეს მსაჯებმა მაინცდამაინც „ამერის“ ფანები? ერთი და ორი წელი არ არის, რაც ქართულ ფეხბურთს ვაშუქებთ და ისეთები გვინახავს... მსაჯებს კი არათუ უნახავთ, უწვნევიათ, თანაც ბარე ორჯერ, მაგრამ აქ ან „გამდის და ვაკეთებ“ პრინციპია, ანაც მიზანმიმართული პროვოცირება...

კარგა ხანია, ცნობილი იყო, რომ „ვიტ ჯორჯია“ — „ამერი“ მალხაზ ბეუქლიშვილს უნდა ემსაჯა, მაგრამ... „ლოკომოტივთან“ თამაშისას ამერელთა ქომაგების შეგინებისთვის ბეუქლიშვილს ორმატჩიანი დისკვალიფიკაცია რომ მისცეს, ვადის გასვლის შემდეგ ისევ „ამერის“ მატჩზე დააბრუნეს მთავარ მსაჯად.

ბუნებრივია, მსაჯთა და დამკვირვებელთა კომიტეტში იტყვიან, ბეუქლიშვილი იყო დანიშნული მსაჯად და არ შევცვალეთო. ჯერ ერთი, საგანგებო შემთხვევისას მსაჯის შეცვლა პრობლემა არ უნდა გახდეს და მეორე და მთავარი — მორალურად გამართლებული იყო, რომ ისევ ბეუქლიშვილს ემსაჯა „ამერის“ მატჩი?

მოკლედ, მსაჯების მხრიდან გინებაღა აკლდა ისედაც დონე და ხნედაცემულ საქართველოს ჩემპიონატს და ამასაც ველირსეთ... ჩვენ იმას ვჩივით, მსაჯების ამ ბელბიჭობამ შარი და ხიფათი არ მოიტანოს — გავეშებულ გულშემატკივარს ხომ ყოველთვის ვერ დააკავებ და...

ილია ნანოგაფვილი

სიონმა ის დათვალა, რაც არ გააჩნია

ფოტო ალექსანდრე ბაბალაძისა

გია არევაძე

საქართველოს ჩემპიონ ბოლნისის „სიონის“ მოსკოვში თანამეგობრობის თასზე წასვლა ისევ საეჭვოა. საქართველო-რუსეთის დაძაბული ურთიერთობის გამო ბოლნისელებს მოსკოვში ჩასვლა შორი გზით უწევთ, რაც დამატებით ხარჯებს საჭიროებს, ამის საშუალება კი ბოლნისელებს არ გააჩნიათ.

„იძულებულნი ვართ, მოსკოვში სტამბოლის გავლით ჩავიდეთ, რაც, რა თქმა უნდა, მეტ ხარჯს მოითხოვს — ერთი ფეხბურთელის მარტო ჩასვლა-ჩამოსვლა 900-1000 დოლარი გვიჯდება, ამის შესაძლებლობა კი არ ჩანს. გუშინ გამგებელ გიორგი არევაძესთან ერთად უნდა გადაწყვეტილიყო გამგზავრების დეტალები, მაგრამ შეხვედრა 1 დეკემბრისთვის გადაიდო. ისე, სიმართლე ვთქვათ, ასეთი თანხის მოძიება გამგეობასაც გაუჭირდება“ — გვითხრა ბოლნისელთა გენერალურმა მენეჯერმა ჯემალ ჭიპაშვილმა.

მიხეილ ჟორჟოლიანი

ადამიასთვის გოლი და ზე-გოლი ერთია

აზერბაიჯანის ჩემპიონატში მორიგი სუპერგოლი მიითვალა გიორგი ადამიამ. 25 წლის ქართველმა ფორვარდმა „ოლიმპიკთან“ მატჩისას ცენტრში მიიღო ბურთი, ჭზად სამ მეტოქეს გასცდა და...

„ნეფთჩიმ“ 3:0 მოუგო „ოლიმპიკს“ და მეორე ადგილზე ახტა, არადა, ოთხი ტურის წინ ცხრილის შუაში იყო. ლიდერი კი კვლავ „ლენქორანია“, რომელიც ადამიას გუნდს 5 ქულით უსწრებს.

ალექსანდრე გოგობერიშვილისა და გია მეგრელაძის „ბაკი“ მეშვიდე ადგილზეა, ლექსო ინწკირველის და რომან ახალკაცის „ქარვანი“ კი მეოთხეზე.

რაც შეეხება ადამიას, ერთ-ერთმა აზერბაიჯანულმა ვებ-გვერდმა იგი პირველი წრის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელა, „ნეფთჩის“ თამაში მოლიანად მასზეა აწყობილიო...

ილია ნანოგაფვილი

სინდიკატი 10:0 მედია

მარცხი, რომელსაც არ უნდა შეეგუოთ

ვერანა დოლიძეაშვილის ფოტო

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ის ხელმძღვანელები, რომლებიც პირველები მესვეურობდნენ ამ ორგანიზაციას, ჟურნალისტურ ხერხებში ასე თუ ისე ერკვეოდნენ. მაგალითად, ეროვნული ჩემპიონატის მატჩზე მივლენილი მიმომხილველი წერს, თამაშის წინ ტრიბუნებზე შეკრებილი გულშემატკივრები ამბობდნენ, რომ დღეს ჩვენი გუნდი უეჭველად „დაუწვება“ მასპინძლებსო. როცა საგაზეთო წერილი ასე იწყებოდა და ჩაწყობილ თამაშს შეეხებოდა, ფედერაციის ხელმძღვანელები მიზანში ზუსტად არტყამდნენ და ამას იმ ჟურნალისტურ ხერხად მიიჩნევდნენ, რომლითაც მავანი მათ კომპრომეტირებას ცდილობდა.

მას შემდეგ დაახლოებით ათი წელი გავიდა. სამყარო განვითარებას ვერ შეწყვეტს და პერანგის ღილსა თუ ჰალსტუხზე დამაგრებული უჩინარი კამერით საქართველოშიც გახდა შესაძლებელი კორუფციის ფაქტების გამოაშკარავება.

სამყაროს განვითარებაში მოექცა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაც და მისი სუბიექტიც, საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგაც, თამაშების ჩაწყობაც და მსაჯებზე გასვლაც.

და როგორ მოექცა სამყაროს განვითარებაში ფეხბურთზე მწერალი ქართული ჟურნალისტიკა?

პასუხი: არც ერთი ფაქტი ჟურნალისტური მხილებისა თუ გამოძიებისა ქართულ ფეხბურთში გამძვინვარებულ უმსგავსობებზე.

დავუშვათ, ეს ჟურნალისტების უნიათობის ბრალია, მაგრამ იმას რა ვუყოთ, რომ ქართული ფეხბურთი ისევ ისეთი ციხეა, შიგნიდან ჯერაც რომ არ გამტყდარა — ქართულ საფეხბურთო სინდიკატს ალბათ .აქვს საბაბი, იამაყოს.

...მეთვრამეტე ეროვნული ჩემპიონატის პირველი წრე საკმაოდ დახუნძლული გამოდგა სკანდალებით. მეათე ტურის „ამერი“ — „ლოკომოტივის“ პირველ ტაიმში მატჩის არბიტრმა მალხაზ ბეუქლიშვილმა ამერელთა ქომაგს შეაგინა. პირველი წრის ბოლო ტურში „ვიტ ჯორჯია“ — „ამერის“ პირველ ტაიმში გვერდითმა მსაჯმა ლევან მიქელაძემ შეაგინა „ამერის“ მხარდამჭერს — წინა ჩვიდმეტ ეროვნულ ჩემპიონატში ასეთი ფაქტები არ მომხდარა.

მერვე ტურის „ბორჯომი“ — „ვიტ ჯორჯიას“ მეორე ტაიმში ვიტჯორჯიელმა პაატა დათუნაიშვილმა ბორჯომელ ქომაგს შეაგინა, რადგან, მისი თქმით, ბორჯომელმა მაყურებელმა მის საცოლეზე ხელი აღმართა. „ბორჯომის“ პრეზიდენტმა დავით გელაშვილმა კი განაცხადა, ჩხუბი დათუნაიშვილის საცოლემ დაიწყო, ფეხსაცმელი ჩაასცხო ბორჯომელ ქომაგსო — სხვა საქმეა, რამდენად სარწმუნოა „ბორჯომის“ პრეზიდენტის ახსნა-განმარტებანი, მაგრამ ის კი ნაღდია, რომ ასეთი ორიგინალური ბრალდება კლუბის პრეზიდენტს არასდროს წაუყენებია მეტოქე გუნდის ფეხბურთელის საცოლისადმი.

აქამდე არასდროს ყოფილა, თამაშის დამთავრების შემდეგ მეტოქე გუნდის ფეხბურთელებს ისეთი ჩხუბი აეტეხოთ, რომ დანაც დატრიალებულიყო. მოხდა ეს მეშვიდე ტურის „ოლიმპი“ — „ვიტ ჯორჯიას“ მატჩის მერე? კერძო საუბრებში ამაზე ლაპარაკს თითქმის არავინ ერიდება, მაგრამ საინტერვიუოდ, გაზეთში დასაწერად — ნურას უკაცრავად.

მეათე ტურის „დინამო“ — „ოლიმპის“ შემდეგ მოედანზე მეტოქე ფეხბურთელებს შორის ჩხუბი ატყდა. ისე გამოვიდა, რომ მთელი ამ უმსგავსობისთვის ჯოხი ოლიმპელ გოჩა ხოჯავაზე გადატყდა, რომელსაც „ოლიმპმა“ პირველი წრის ბოლომდე მისცა დისკვალიფიკაცია, ხოლო ფეხბურთის ფედერაციის დისციპლინარებმა ოთხმატჩიანი დისკვალიფიკაცია გამოუწერეს. „ოლიმპი“ 2000 ლარით დააჯარიმეს, „დინამო“ — 1000 ლარით. არადა, საკუთარი თვალით ვნახე სხვათა მოქნეული ხელ-ფეხიც, ტელეკომპანია „იმედის“ ერთ-ერთი საინფორმაციო გამოშვების სიუჟეტში კი კარგად ჩანდა, როგორ ურტყამდა ერთ-ერთი დინამოელი გამეტებით პანლურს ერთ-ერთ ოლიმპელს...

აყალმაყალი გასახდელშიც გაგრძელდა, რასაც ჟურნალისტის თვალი ვერ მისწვდა, მაგრამ რამდენიმე თვითმხილველმა კერძო საუბარში მითხრა, დანის ტრიალი იქაც იყო, ოფიციალურ ქაღალდებში კი ეს ფაქტი, რა თქმა უნდა, არ გაჟღერდა.

ასევე ვერ მტკიცდება, რომ მსაჯმა ქრთამი აიღო; რომ ერთი გუნდი დაუწვა მეორეს, რადგან ის ერთი გუნდი ამ მეორე გუნდისგან ფეხბურთელებს ნათხოვრობს და, როცა ამ მეორე გუნდს ეთამაშება, წამყვან ფეხბურთელებს ასვენებს და აგებს; ვერ მტკიცდება, რომ არსებული სინდიკატი არსებობს...

ფეხბურთს კი მაინც თამაშობენ საქართველოში და ფეხბურთელები დიდად არ დარდობენ, რომ ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელისთვის მათი ყურება დროის ფლანგვაა, არც იმას ნაღვლობენ, რომ კლაუს ტოპმიოლერის დარად ქართული ფეხბურთის ხელმძღვანელიც ძალიან დიდ დროს ატარებს გერმანიაში — ქართველ ფეხბურთელებს სჯერათ, რომ ეს ყველაფერი ქართული ფეხბურთის ნაწილია...

დავით თავართქილაძე

ვალერ ფარულავის ფოტო

საქართველოს 18 ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა — პირველი წრე

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავით დიდმელაშვილი („ვიტ ჯორჯია")

ბაბლი ჯუმბერაძის ფოტო

საუკეთესო ფეხბურთელი

საუკეთესო მწვრთნელი
გიორგი ჩიხრაძე („ამერი")



მოულოდნელობა
გიორგი დათუნაიშვილი („ვიტ ჯორჯია")
და დიმიტრი ტატანაშვილი („ამერი")

ალექსანდრე ოყაბერ

საუკეთესო ლეგიონერი
ერიკ რომეო ჩასემი
(„სიონი")

საუკეთესო ახალგაზრდა
გიორგი ჯახელიშვილი
(„ოლიმპი")

8 შარავ დოლელეიშვილის ფოტო

საუკეთესო ბომბარდირი
ნიკა გელაშვილი
(„ვიტ ჯორჯია")

სიმბოლური ნაკრები

- ნიკა გელაშვილი — *ვიტ ჯორჯია*
- გოგი ფიფია — *ზესტაფონი*
- თორნიკე აფციაური — *ოლიმპი*
- დავით ბოლქვაძე — *ამერი*
- ლაშა ძეგაძე — *ოლიმპი*
- დავით დიდმელაშვილი — *ვიტ ჯორჯია*
- გიორგი დათუნაიშვილი — *ვიტ ჯორჯია*
- შალვა ლონლაძე — *ზესტაფონი*
- დავით გამეზარდაშვილი — *ტორპედო*
- შოთა კაშია — *დინამო*
- გრიგოლ ჭანტურია — *ზესტაფონი*

ოლიმპი	13	10	2	1	32:5	32
ვიტ ჯორჯია	13	9	3	1	30:16	30
ამერი	13	9	3	1	28:8	30
ზესტაფონი	13	9	3	1	22:3	30
დინამო	13	9	0	4	24:11	27
ტორპედო	13	7	3	3	16:8	24
სიონი	13	7	2	4	19:10	23
ლოკომოტივი	13	4	2	7	10:17	14
ბორჯომი	13	3	3	7	15:25	12
მერანი	13	3	2	8	9:26	11
ჩიხურა	13	2	4	7	10:22	10
ბათუმი	13	2	3	8	10:14	9
დილა	13	0	3	10	6:38	3
ჯახეთი	13	0	1	12	9:37	1

ბომბარდირები

8-გელაშვილი	*ვიტ ჯორჯია*
7-ტატანაშვილი	*ამერი*
დოლიძე	*ამერი*
გ. დათუნაიშვილი	*ვიტ ჯორჯია*
6-იაშვილი	*დინამო*
ფიფია	*ზესტაფონი*
იონანიძე	*ზესტაფონი*
5-ალავიძე	*სიონი*
ჩასემი	*სიონი*
ბობოხიძე	*დინამო*

ევროპის საუკეთესო აუტჩიკი ფაბიოგრაფია



ფაბიო კანავარო დაიბადა 1973 წლის 13 სექტემბერს ნეაპოლში. არის მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონი. კარიერაში უთამაშია „ნაპოლიში", „პარმაში", „ინტერსა" და „იუვენტუსში". ამჟამად მადრიდის „რეალის" ფეხბურთელია. იგი გახლავთ იტალიის ნაკრების კაპიტანი. „სკუადრა აძურას" მაისურა სცმია 105-ჯერ. სიმაღლით კანავარო 176 სანტიმეტრია, მეტსახელად შიგადაშიგ ბერლინის კედელს ეძახიან.

როგორც მცველი, კანავარო გამოირჩევა ყურადღების საგანგებო მოკრებისა და ეგრეთ წოდებული თამაშის კითხვის უნარით. ამ თვისებების წყალობით იგი, როგორც წესი, საჭირო დროს საჭირო ადგილზე აღმოჩნდება ხოლმე. ამას ემატება ფიზიკური გამძლეობა და ორთაბრძოლების ოსტატობაც. სიმაღლით კანავარო მაინცდამაინც ვერ დაიკვეხნის, მაგრამ მაღლა ახტომის უნარი შესწევს და ყველა ჩამოთვლილი თვისების ჯამი მას სხვათაგან გამოარჩევს

საპლუბო პარიერა

ნიჭიერი ყმაწვილის გამოჩენა კანავაროს შშობლიური ქალაქის გუნდის „ნაპოლის" სკაუტებს არ გამორჩენიათ. ეს იმდროინდელი ამბავია, როდესაც ნეაპოლის გუნდს „ოქროს ხანა", ისტორიაში საუკეთესო პერიოდი ედგა — აქ თვით დიეგო მარადონა თამაშობდა და გუნდმა იტალიის ჩემპიონის ტიტული და უეფას თასი მოიგო. ამ წლებში ფაბიო კანავარო „სტადიო სან პაოლოზე" „აუტჩიკად" იდგა. თანდათან „ნაპოლის" მთავარი გუნდის წევრობამდე გაიზარდა და „აუტჩიკობის" დროინდელ კერპებს გვერდით ამოუდგა.

სერია **A**-ში კანავარომ პირველად 1993 წლის 7 მარტს ითამაშა. ეს ტურინის „სტადიო დელე ალპიზე" „იუვენტუსის" წინააღმდეგ მოხდა. კანავაროსდა სამწუხაროდ, მარადონას შემდგომი პერიოდის „ნაპოლი", ყველაფერს თავისი სახელი რომ დავარქვათ, ღარიბი გუნდი იყო და „ოქროს ბურთის" დღევანდელი ლაურეატი მშობლიური ქალაქიდან „პარმაში" გაყიდეს.

„პარმაში" კანავარომ ფართო აუდიტორიის ყურადღება მიიპყრო და გამორჩეულად ნიჭიერი მცველის სახელიც დაიმსახურა. პარმელთა კარში ჯანლუიჯი ბუფონი იდგა, ხოლო კანავაროს მეწყვილე ფრანგი ლილიან ტურამი გახლდათ. ამ სამეულმა „ჯალობლუ", ბუნებრივია, სერია **A**-ში საუკეთესო დაცვის მქონე გუნდად აქცია. მაშინ „პარმას" კარლო ანჩელოტი წვრთნიდა და გუნდმა 1997 წელს ისტორიაში საუკეთესო, მეორე ადგილი დაიკავა — ერთადერთი ქულით ჩამორჩა „იუვენტუსს". 1998-99 წლებში „პარმამ" იტალიისა და უეფას თასები მოიგო.

2002 წელს ფაბიო კანავარო 32 მილიონ ევროდ „ინტერში" გადავიდა და დაუდგა კიდეც კარიერის უსახური პერიოდი. ორწლიანი წვალების შემდეგ „იუვენტუსის" წევრი გახდა, სადაც მასთან ერთად აღმოჩნდნენ პარმელი მეგობრები ლილიან ტურამი და ჯიჯი ბუფონი. 2005 წელს კანავარომ კარიერაში პირველი „სკუდეტო" მოიგო, რასაც მომვდევნო წლის ჩემპიონის ტიტულიც მოჰყვა. ტურინში კარგი დებიუტისთვის მას 2005 წლის საფეხბურთო ოსკარიც მისცეს.

2006 წელს იტალიაში კალჩოპოლის სკანდალი ატყდა, რასაც „სკუადრა აძურასთვის" მსოფლიოს ტრიუმფალური ჩემპიონატის შემდეგ შედეგად ის მოჰყვა, რომ „იუვენტუსი" სერია **B**-ში გაადგეს და 2005 და 2006 წლების სკუდეტოები ჩამოართვეს. ბუნებრივია, „ბებერ ქალბატონს" ჩემპიონთა ლიგაში გამოსვლის უფლებაც ჩამოერთვა და ჩვენი წერილის გმირმაც ახალ კლუბს, მადრიდის „რეალს" შიაშურა.

„რასაც ახლა ვიტყვი იქნებ ძნელად დასაჯერებელია, მაგრამ მერწმუნეთ, „იუვენტუსი" სერია **A**-ში რომ დაეტოვებინათ, თუნდაც მინუს 30 ქულა მიესაჯათ, იქიდან ფეხის გამდგმელი არ ვიყავი" — გაიმრათლა მაშინ კანავარომ თავი. მასთან ერთად „ბებერი ქალბატონიდან" „რეალში" წავიდნენ ემერსონი და მწვრთნელი ფაბიო კაპელო. კანავაროს მადრიდული ტრანსფერის თანხა როგორც ერთმა, ასევე მეორე კლუბმა საიდუმლოდ შეინახა, მაგრამ პრესამ მაინც გამოჩხრიკა, რომ იგი 20 მილიონი ევროს ტოლფასი იყო.

ასე და ამგვარად, ფაბიო კანავარო 2006 წლის 25 ივლისს ოფიციალურად შეიქნა მადრიდის „რეალის" ფეხბურთელი და გადაეცა მაისური ნომერი 5, რომელსაც მანამდე ზინედინ ზიდანი, კიდევ უფრო ადრე კი მანუელ სანჩისი ფლობდნენ.

ნაკრებში

ნაკრების გემო ფაბიო კანავარომ პირველად 90-იანი წლების დასაწყისში, ჩეზარე მალდინის ხელმძღვანელობით, ოღონდ 21-წლამდელთა შორის შეიგრძნო. მაშინ „აძურინიმ" ზედიზედ ორჯერ მოიგო ევროპის ასაკობრივი ჩემპიონატი: 1992-94 და 1994-96 წლებში. ამის შემდეგ კანავარომ ატლანტის ოლიმპიადაზე ითამაშა.

დიდ „აძურაში" კი მან და ალესანდრო ნესტამ შექმნეს ჩინებული წყვილი. კანავარომ ითამაშა 1998, 2002 და 2006 წლების მუნდიალებზე. გარდა ამისა, იგი 2000 და 2004 წლების ევროპის ჩემპიონატებზეც ვიხილეთ.

ეროვნულ გუნდში პირველმა თამაშმა 1997 წლის იანვარში ჩრდილო ირლანდიის ნაკრების წინააღმდეგ უწია და მას მერე, როგორც მოგახსენეთ, კიდევ 104-ჯერ დაიცვა სამშობლოს ღირსება. მასზე მეტჯერ მხოლოდ პაოლო მალდინიმ (126) და დინო ძოფმა (112) ითამაშეს ნაკრების მაისურით. 1998 წელს კი იგი უკვე მსოფლიოს ჩემპიონატს ეზიარა. მაშინ „სკუადრა აძურას" სათავეში კანავაროსთვის კარგად ნაცნობი მენტორი ჩეზარე მალდინი იდგა.

98-ის მუნდიალზე იტალია მეოთხედფინალში საფრანგეთმა გამოაგდო, კანავაროს კი სამახსოვროდ შუბლზე ნაიარევი დარჩა — სწორედ მეოთხედფინალში მოხვდა სტეფან გივარშის იდაყვი.

ევრო 2000-ზე „სკუადრა აძურას" ოცნებები ისევ „ლურჯებმა" ანუ ფრანგებმა მოკლეს — ფინალში, რომელსაც იტალიელები 1:0-ს იგებდნენ, სილვენ ვილტორდმა მსაჯის წამატებულ წუთებში გაათანაბრა ანგარიში, ხოლო დამატებით დროში დავიდ ტრეზეგემ „ოქროს გოლი" შეაგდო. აქ აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ფაბიო კანავარომ იმ ჩემპიონატზე საუცხოოდ ითამაშა.

2002 წლის მუნდიალზე კანავარო კვლავ ქების ღირსად თამაშობდა, მაგრამ ალესანდრო ნესტას ტრავმამ დაცვის ცენტრში მარტო დატოვა. იმ ჩემპიონატში იტალიამ პლეიოფის ეტაპზე კორეის ნაკრებთან ისევ „ოქროს გოლის" წესით წააგო, ოღონდ... ამაში მსაჯის შეცდომების ხელიც ერია.

2002 წლის მუნდიალის შემდეგ სანაკრებო ფეხბურთს დიდი იტალიელი მცველი პაოლო მალდინი დაემშვიდობა და კაპიტნის სამკლავური სწორედ კანავაროს დაუტოვა. ჩვენმა გმირმა თავიდან დიდი პატივი და გამოწვევა სიფრთხილით მიიღო, მაგრამ ნეაპოლურმა ხასიათმა თავისი ქნა, მითუფრო, რომ მალდინის ბოლო სანაკრებო თამაში სწორედ ნეაპოლში ჩატარდა და ფაბიოც სწორედ იქ გამოცხადდა ახალ კაპიტნად, რასაც „სტადიო სან პაოლო" ფეხზე ამდგარი შეხვდა.

ევრო 2004 იტალიის ნაკრებისთვის ავად მოსაგონარი რამ გამოდგა. დანიასა და შვედეთთან ნათამაშევი ფრეები კანავაროს ორი ყვითელი ბარათითაც დამძიმდა და მან ჯგუფური ეტაპის ბოლო თამაშს თვალი ტრიბუნიდან ადევნა. იმ ბოლო თამაშში იტალიამ ბულგარეთს 2:1 კი მოუგო, მაგრამ გოლების უარესი სხვაობის გამო შემდეგ ეტაპზე ვეღარ გავიდა.

და ბოლოს, კანავარომ ნაკრებში ერთადერთი გოლი გაიტანა, 2004 წლის 30 მაისს ტუნისელთა კარში.

2006

წინა ჩემპიონატებში პრესა და გულშემატკივარი ყურადღებას ძირითადად თავდამსხმელებს, ალესანდრო დელ პიეროს, კრისტიან ვიერის თუ ფრანჩესკო ტოტის აქცევდნენ, აი, 2006 წელს კი საგანგებო ქებისა და დიდების ღირსი კაპიტანი კანავარო შეიქნა. მისი თამაში ნახევარფინალში გერმანიის ნაკრების წინააღმდეგ ბევრმა გავლენიანმა საფეხბურთო მოხელემ თუ ჟურნალისტმა ინდივიდუალური თამაშის ერთ-ერთ უნიკალურ ნიმუშად მიიჩნია. მუნდიალის დამთავრების შემდეგ ჩემპიონატის ტექნიკური შესწავლის ჯგუფმა იგი „ოლ სტარში" შეიყვანა, რაც შეეხება ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელის წოდებას, იგი მაშინ ზინედინ ზიდანს გადასცეს: ფრანგმა 2012 ქულა მოაგროვა, იტალიელმა კი 1977. ცნობისთვის: კანავარომ ამ ჩემპიონატში მოედანზე 690 წუთი დაჰყო და ამ ხნის განმავლობაში ერთი ყვითელი ბარათი არ მიუღია, წითელზე ხომ ლაპარაკი ზედმეტია. იტალიურმა დაცვამ, რომლის ცენტრალური ფიგურაც დღევანდელი ლაურეატი გახლდათ, ტურნირში მხოლოდ ორი გოლი გაუშვა და ისიც ერთი ავტოგოლი იყო.

და ერთი საინტერესო დამთხვევაც: ფაბიო კანავაროსთვის მსოფლიოს ჩემპიონატის ტრიუმფალური ფინალური მატჩი ნაკრების შემადგენლობაში მე-100 გამოდგა.

ჰირადი ამბები

იტალიაში იგი სექს-სიმბოლოდ არის შერაცხული. ამასწინათ ჩატარებულმა გამოკითხვამ ფაბიო კანავარო მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატის ყველაზე სექსუალურ ფეხბურთელად დაასახელა, თუმცა კანავარო სექს-სიმბოლოობასთან ერთად ოჯახის მამაც გახლავთ. მის მეუღლეს ჰქვია დანიელა. ფაბიო და დანიელა ერთმანეთს 18 წლიდან იცნობენ და საკმაოდ რომანტიკული შეყვარებულობაც ჰქონდათ. კერძოდ, ფაბიო მომავალ მეუღლეს სასიყვარულო წერილებს მოპირდაპირე თუ სხვა სახლების კედლებზე უწერდა, რაც საბოლოოდ იმით დამთავრდა, რომ 1999 წელს ქვეყანას კრისტიანი, 2001-ში ანდრეა, ხოლო 2004-ში მარტინა მოევლინენ.

ვინ არის კანავაროს კერპი? მას ნეაპოლიდან აქვს მარადონასა და ჩირო ფერარას სიყვარული გამოყოლილი. სხვათა შორის, ზემოთ „აუტჩიკობა" რომ ვახსენეთ, უნდა დავძინოთ, რომ კანავარო 1990 წლის ჩემპიონატზე იტალიისა და არგენტინის მატჩზე იდგა გადაგდებული ბურთების მიმწოდებლად.

ფაბიო კანავაროს მეტისმეტად სწყალობენ ფოტორეპორტიორები, რომლებიც ნიადაგ მისი ცნობილი ღიმილის დაჭერას ცდილობენ.

მან და ჩირო ფერარამ დააფუძნეს ნეაპოლის საავადმყოფოს საოპერაციო განყოფილების ხელშემწყობი კიბოსთან მებრძოლი ფონდი.

კანავაროს უამრავი სვირინგი აქვს. აწერია შვილებისა და ცოლის სახელები, ახატია მეომარი, მზე და ჩინური იეროგლიფები.

ფაბიოს ჰყავს უმცროსი ძმა პაოლო, ასევე ფეხბურთელი, ამჟამად „ნაპოლის" წევრი.



FRANCE Football

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნეაპოლელო ბავშვმაბო, მიბაძეთ ძია ფაბიოს

ოქროკაცის სამეული: ბუფონი, ანრი, პირლო

ფაბიო კანავარომ „ოქროს ბურთის“ მიღების შემდეგ „ფრანს ფუტბოლის“ ოფისში თავის პირველ შთაბეჭდილებებზე ილაპარაკა. იტალიელი მცველი „რეალის“, „იუვენტუსისა“ და იტალიის ნაკრების ფეხბურთელებს თანადგომისთვის მადლობას უხდის და აცხადებს, რომ საპატიო ჯილდოს მოპოვების გამო ძალიან გახარებულია. კანავაროს მედიასთან საუბარში მშობლიური ნეაპოლიც არ დაავიწყდა

— „ოქროს ბურთს“ ვის უძღვნით?

— „რეალის“ გულშემატკივრებს. ასევე მინდა, „ოქროს ბურთი“ ტურინელ და ნეაპოლელ ფანებსაც მივუძღვნა. ნეაპოლი თავისებური, რთული ქალაქია, რომელსაც ბევრი პრობლემა აწუხებს და იქაური ფეხბურთელის მიერ მოგებული დიდი ჯილდო ნეაპოლელი ბავშვებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. ეს მათ საჭირო სტიმულს მისცემს და ოცნებების ასრულებაში დაეხმარება.

— ფიქრობთ, რომ ნეაპოლიტანელთა გულში დიეგო მარადონას ადგილს დაიკავებთ?

— ეს ძალიან ძნელია. ნეაპოლელისთვის მარადონა წმინდანია. ვფიქრობ, რომ ჩემი ქალაქისთვის მნიშვნელოვანია ასეთი ჯილდოს მოგება, მაგრამ მარადონას იქ მაინც ვერავინ შეცვლის.

— ესპანური მედია ირონიულად წერს, რომ „ტყვიის ბურთი“ უფრო გეკუთვნოდათ... ამას უსამართლობად თვლით?

— საბედნიეროდ, პრესას თითქმის არ ვკითხულობ. კარიერაში არის დღეები, როდესაც ფეხბურთელი ბრწყინვალე მატჩებს ატარებს და პირიქით — ხანდხან თამაში როგორც გინდა, ისე არ გამოდის. შემიძლია, ვითხრათ, რომ პოლემიკას დიდ ყურადღებას არ ვაქცევ. თუ „იუვენტუსში“ გატარებულ სეზონს და მუნდიალის პერიოდს გავიხსენებთ, უნდა ვთქვათ, რომ კანავარომ უმაღლეს დონეზე ითამაშა, მაგრამ ჯილდოს სხვა ფეხბურთელებიც იმსახურებდნენ. ჩემი ბრალი ხომ არ არის, „ოქროს ბურთი“ რომ მოვიგე, მე ხმა არ მიმიცია.

— ასე რომ ყოფილიყო, ვის დაასახელებდით?

— ჯანლუიჯი ბუფონს, რომელიც ჩემი მეგობარი და ბრწყინვალე მეკარეა. თანამედროვე ფეხბურთში მსგავსი გოლკიპერის პოვნა გაგიჭირდებათ. ტიერი ანრის მეორე ადგილზე გავიყვანდი, ხოლო პირლოს მესამეზე.

— ჯილდოს მიღების შემდეგ ლილიან ტურამმა დაგირეკათ. რაზე ისაუბრეთ?

— მითხრა, რომ ბედნიერია, „ოქროს ბურთი“ რომ მოვიგე. ჩვენ ერთად მინდორზე ბევრი ბრძოლა გადაგვიხდია და ჯილდოს მასაც ვუძღვნი.

— 2006 წლის ყველაზე განსაკუთრებული ეპიზოდი რომელი იყო თქვენთვის?

— რომელიმეს გამორჩევა გამიჭირდება. „იუვეს“ შემადგენლობაში 36 მატჩი ვითამაშე და 4 გოლი გავიტანე, რაც ჩემთვის ყოველთვის დაუვიწყარ მოგონებად დარჩება. ყველაზე შთამბეჭდავი კი ალბათ მსოფლიოს ჩემპიონატის ნახევარფინალში გერმანიასთან გამართული შეხვედრა იყო.

— ფეხბურთის ისტორიაში ბეკენბაუერის და ზამერის შემდეგ მესამე მცველი ხართ, „ოქროს ბურთი“ რომ მოიგო...

დიახ და ამის გამო ორმაგად გახარებული ვარ. ყოველთვის იმ ფეხბურთელებს აძლევდნენ ჯილდოს, რომლებიც ჩემგან განსხვავებულ პოზიციაზე თამაშობდნენ და ამიტომაც ვთვლი, რომ წლევანდელი „ოქროს ბურთი“ კანავაროსთან ერთად მსოფლიოს ყველა მცველს ეკუთვნის... ხანდახან მცველობა უფრო ძნელია, ვიდრე სუსტ მეტოქესთან გოლების გატანა. რა თქმა უნდა, რონალდინიოს მიერ „ვილიარეალთან“ შეგდებულ გოლს არ ვგულისხმობ. როცა რიგითი გულშემატკივარი ხარ და სტადიონზე შენს თვალწინ ასეთი საოცრება მოხდება, ჩათვალე, რომ ბილეთში ფული ტყუილუბრალოდ არ დაგიხარჯავს.

— მიუხედავად შესანიშნავი კარიერისა, სხვა იტალიელ მცველებს, ბარეზის და მალდინის, „ოქროს ბურთი“ არასდროს მიუღიათ. 2006-ის მუნდიალის მოგებამ ამაში დიდი როლი ითამაშა?

— დიახ, იტალიის ტრიუმფი გადამწყვეტი იყო. ნაკრებში მარადონას დარი ფეხბურთელები არ გვყოლია, მაგრამ ერთ მუშტად შეკრული გუნდი ვიყავით და დიდი გამარჯვების მოპოვებაც შევძელით. ბარეზი და მალდინიც შესანიშნავი მცველები იყვნენ, ასევე უძლიერესი უკანახაზელი გახლდათ ფერნანდო იეროც. ჩემი აზრით, ჩვენს შორის განსხვავება ის არის, რომ მე მუნდიალი მოვიგე. გერმანიის მსოფლიოს ჩემპიონატზე იტალიამ თავის თავს აჯობა და დიდი მატჩები ჩაატარა.

— ჯანლუიჯი ბუფონს ოდენ მეორე ადგილი ერგო. თქვენი მეგობრის შესახებ რას გვეტყოდით?

— ვწუხვარ ამის გამო. უკვე გითხარით, რომ ფენომენალური მეკარეა. ის მარტო „ოქროს ბურთს“ კი არა, ბევრ სხვა ჯილდოსაც იმსახურებს.

— „რეალი“ თავის გამარჯვებებს მადრიდში სიბელესის შადრევანთან აღნიშნავს. თქვენს „ოქროს ბურთსაც“ იქ მიიტანთ?

— დიახ, ჯილდოს სიბელესზე მივიტან. კმაყოფილი ვარ „რეალში“ თამაშით, სადაც მსოფლიოს საუკეთესოები ბურთაობენ. „სანტიაგო ბერნაბეუზე“ თავს შესანიშნავად ვგრძნობ და „ოქროს ბურთიც“ იქაურ გულშემატკივრებს უნდა ჩავუტანო საჩუქრად. ასევე კარგი იქნებოდა, თუ ჯილდოს ტურინში ან ნეაპოლში ჩავიტანდი. წარმოიდგინეთ ჩემი უბანი, სადაც გავიზარდე და უცებ იქ „ოქროს ბურთით“ ვბრუნდები...

— ყველაზე მეტად რომელი ფეხბურთელების წინააღმდეგ გიჭირთ თამაში?

— კარიერის განმავლობაში მოედანზე პრობლემები რამდენიმე მოიერიშემ შემიქმნა. მათგან რონალდოს, ანრის და შევჩენკოს გამოვარჩევდი.

— რომელი უფრო მნიშვნელოვანია თქვენთვის, „ოქროს ბურთი“ თუ იტალიასთან ერთად მოგებული მუნდიალი?

— ამათი შედარება არ შეიძლება. მსოფლიოს ჩემპიონატის მოგებაზე ბავშვობიდან ოცნებობ და როცა ამას აისრულებ, რეალობად ქცეული ტკბილი სიზმარი გგონია. „ოქროს ბურთს“ კი ნამდვილად არ ველოდებოდი, ეს მოულოდნელი ჯილდო გახლდათ.

— სულ რამდენიმე თვის განმავლობაში მუნდიალზეც გაიმარჯვეთ და „ოქროს ბურთიც“ მოიპოვეთ. დარჩა ფაბიო კანავაროს რაიმე აუსრულებელი ოცნება?

— ბედმა გამიღიმა და 33 წლის ასაკში თამაში მადრიდის „რეალში“ დავიწყე. იმედი მაქვს, ამ კლუბთან ერთად მნიშვნელოვან ტიტულებს მოვიგებ. ჩვენი მთავარი მიზანი ესპანეთის ჩემპიონობა და ჩემპიონთა თასია.

— მადრიდში ჩატარებულ პირველ მატჩებში ისე ვერ გაიბრწყინეთ, როგორც ამას იტალიაში აკეთებდით...

— დიახ, ჩემი სათამაშო დონე უნდა გავაუმჯობესო. ტრავმებმაც ხელი შემიშალა, მუხლი და ბარძაყი მტკიოდა. სერიოზულად უნდა ვიმუშაო, მაგრამ მუშაობა არ მაშინებს, მე ხომ მთელი ცხოვრება ვშრომობდი.

ფრანს ფუტბოლის 2006 წლის სიმბოლური ნაკრები

	ბუფონი		
ძამბროტა	ტერი	კანავარო	ლამი
დეკუ	ზიდანი	პირლო	
რონალდინიო	ეტოო	ანრი	

ევროპის 2006 წლის საუკეთესო ფეხბურთელი

ფაბიო კანავარო	რეალი	იტალია	173
ჯანლუიჯი ბუფონი	იუვენტუსი	იტალია	124
ტიერი ანრი	არსენალი	საფრანგეთი	121
რონალდინიო	ბარსელონა	ბრაზილია	73
ზინედინ ზიდანი	კარიერა დაასრულა	საფრანგეთი	71
სამუელ ეტოო	ბარსელონა	კამერუნი	67
მიროსლავ კლოზე	ვერდერი	გერმანია	29
დიდიე დროგბა	ჩელსი	კოტ დივუარი	25
ანდრეა პირლო	მილანი	იტალია	17
იენს ლემანი	არსენალი	გერმანია	13
დეკუ	ბარსელონა	პორტუგალია	11
კაკა	მილანი	ბრაზილია	11
ფრანკ რიბერი	მარსელი	საფრანგეთი	9
კრიშტიანუ რონალდუ	მანჩესტერი	პორტუგალია	5
ჯენარო გატუზო	მილანი	იტალია	5
პატრიკ ვიეირა	ინტერი	საფრანგეთი	5
ფრენკ ლამპარდი	ჩელსი	ინგლისი	3
ლუკაშ პოდოლსკი	ბაიერნი	გერმანია	3
კარლეს პუიოლი	ბარსელონა	ესპანეთი	3
ჟუნინიო	ლიონი	ბრაზილია	2
ლიონელ მესი	ბარსელონა	არგენტინა	2
ჯონ ტერი	ჩელსი	ინგლისი	2
ლუკა ტონი	ფიორენტინა	იტალია	2
ჯანლუკა ძამბროტა	ბარსელონა	იტალია	2
ფილიპ ლამი	ბაიერნი	გერმანია	1
დავიდ ვილია	ვალენსია	ესპანეთი	1

უქულოდ: მიხაელ ბალაკი (ჩელსი, გერმანია), ტიმ კეჰილი (ევერტონი, ავსტრალია), ანდრეი შევჩენკო (ჩელსი, უკრაინა), ჯო კოული (ჩელსი, ინგლისი), გრეგორი კუპე (ლიონი, საფრანგეთი), კრისი (ლიონი, ბრაზილია), მაჰამადუ დიარა (რეალი, მალი), მიკაელ ესიენი (ჩელსი, კოტ დივუარი), ფრანსესკ ფაბრეგასი (არსენალი, ესპანეთი), უილიამ გალასი (არსენალი, საფრანგეთი), სტივენ ჯერარდი (ლივერპული, ინგლისი), ლუდოვიკ ჟიული (ბარსელონა, საფრანგეთი), ფაბიო გროსო (ინტერი, იტალია), კლოდ მაკელელე (ჩელსი, საფრანგეთი), ფლორენ მალუდა (ლიონი, საფრანგეთი), ედისონ მენდესი (პსვ, ეკვადორი), ხუან რომან რიკელმე (ვილიარეალი, არგენტინა), არიენ რობენი (ჩელსი, ჰოლანდია), უეინ რუნი (მანჩესტერი, ინგლისი), ვილი სანიოლი (ბაიერნი, საფრანგეთი), ბაშტიან შვაინშტაიგერი (ბაიერნი, გერმანია), ლილიან ტურამი (ბარსელონა, საფრანგეთი), ტიაგუ (ლიონი, პორტუგალია), ფერნანდო ტორესი (ატლეტიკო, ესპანეთი)

FRANCE football

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქვეყანა	რესპონდენტი	I ადგილი	II ადგილი	III ადგილი	IV ადგილი	V ადგილი
ავსტრია	ჰანს ჰუბერი (ორფ შპორტი)	ანრი	ზიდანი	პირლო	კლოზე	რონალდინიო
აზერბაიჯანი	რაზიმ მუვსუმოვი (სპორტ-ექსპრესი)	ზიდანი	ბუფონი	კანავარო	ეტოო	რიბერი
ალბანეთი	ბესნიკ დიჟდარი (ფუტბოლ შკიპტარი)	ბუფონი	ზიდანი	კანავარო	ანრი	ეტოო
ანდორა	მანუელ როდრიგეს მარერო (დიარი დე ანდორო)	ზიდანი	ეტოო	რონალდინიო	მესი	ვილია
ბელარუსი	სერგეი ნიკოლაევი (პრესბოლი)	კანავარო	ვიეირა	ზიდანი	დროგბა	ბუფონი
ბელგია	მიშელ დუბისი (დერნიერ სპორტსი)	ეტოო	ანრი	ბუფონი	კანავარო	კლოზე
ბოსნია	აჰმედ ბურიჩი (დანი)	ანრი	რონალდინიო	ბუფონი	ზიდანი	პირლო
ბულგარეთი	რუმენ პაიტაჩევი (სპორტ პლუსი)	კანავარო	ანრი	ეტოო	დროგბა	ზიდანი
გერმანია	რაინერ კალსი (ზიდი)	ლემანი	ეტოო	კლოზე	პირლო	რიბერი
დანია	ნილს იორგენ ლარსენი (ტიპს-ბლადეტი)	კანავარო	ეტოო	დროგბა	ბუფონი	დეკუ
ესპანეთი	პაკო აგილარი (ელ მუნდო დეპორტივო)	რონალდინიო	ბუფონი	დეკუ	ეტოო	ანრი
ესტონეთი	მარგუს ლუიკი (მლ ეგენსი)	კანავარო	პირლო	ანრი	ეტოო	ბუფონი
თურქეთი	სელჩუკ მანავი (ატვ)	ეტოო	პირლო	პოდოლსკი	კანავარო	რიბერი
ინგლისი	ჰენრი ვინტერი (დეილი ტელეგრაფი)	კანავარო	ანრი	დროგბა	ტონი	პუიოლი
ირლანდია	პოლ კელი (რადიო ტელეფისი)	კანავარო	ანრი	კლოზე	პირლო	ეტოო
ისლანდია	ვიდირ სიგურდსონი (მორგანბლადიდი)	კანავარო	ანრი	რონალდინიო	ბუფონი	ზიდანი
ისრაელი	ნოა კლიგერი (იედიოს აბრონესი)	კანავარო	რონალდინიო	ეტოო	ანრი	კლოზე
იტალია	რობერტო ბეკანტინი (ლა სტამპა)	ბუფონი	კანავარო	ანრი	რონალდინიო	ეტოო
კვიპროსი	მიხალის გავრილიდესი (ფიელეფტერასი)	ბუფონი	ანრი	კანავარო	რონალდინიო	ზიდანი
ლატვია	ვალერი კაპუშკინი (სპორტ ექსპრესი)	კანავარო	ზიდანი	რონალდინიო	ეტოო	კაკა
ლიტვა	გედრიუს იანონისი (რიტესი)	ბუფონი	ანრი	რონალდინიო	კანავარო	ეტოო
ლიხტენშტაინი	ერნსტ ჰესლერი (ვატერლანდი)	კანავარო	რიბერი	ბუფონი	რონალდინიო	ზიდანი
ლუქსემბურგი	დიდიე ჰიგელი (ლა ვოლქსი)	ბუფონი	ანრი	ეტოო	რონალდინიო	დროგბა
მაკედონია	ბორო ტიმკოვსკი (ვეკერი)	ბუფონი	ანრი	კაკა	კანავარო	რონალდინიო
მალტა	შარლ კამენზული (ნეტ ტვ)	ბუფონი	ანრი	კანავარო	კაკა	რიბერი
მოლდოვა	იონ სანდუ (სპორტ მოლდოვა)	ზიდანი	ბუფონი	დროგბა	კლოზე	კრ. რონალდუ
ნორვეგია	ოვინდ სტიინ იენსენი (ვი მენ ფუტბოლი)	ზიდანი	კანავარო	ეტოო	ანრი	რონალდინიო
პოლონეთი	ჟესლავ ლუდვიჟეკი (ტიგოდნიკი)	ანრი	კანავარო	ბუფონი	ეტოო	კლოზე
პორტუგალია	ჟოაკიმ რიტა (ო'ჟოგო)	ანრი	რონალდინიო	ლამპარდი	დეკუ	კაკა
რუმინეთი	რადუ ტიმოფტე (როიტერი)	კანავარო	ანრი	ბუფონი	ეტოო	ტერი
რუსეთი	კონსტანტინ კლეტჩევი (სოვიეტსკი სპორტი)	ანრი	კანავარო	ეტოო	ლემანი	რონალდინიო
საბერძნეთი	მანოს სტარამოპულოსი (ელეფტეროს ტიპოსი)	ბუფონი	კანავარო	ზიდანი	რონალდინიო	ლამი
სან მარინო	მარკო ძუნინო (გუერინ სპორტივო)	გატუზო	კანავარო	ბუფონი	კაკა	ეტოო
საფრანგეთი	ჟერარ ერნაული (ფრანს ფუტბოლი)	კანავარო	ანრი	ბუფონი	დეკუ	ეტოო
საქართველო	**ზურაბ ფოცხვერია (სარბიელი)**	**ანრი**	**ბუფონი**	**ეტოო**	**კანავარო**	**პირლო**
სერბეთი	იოვან ველიჩკოვი (ტემპო)	ბუფონი	ზიდანი	რონალდინიო	ანრი	კლოზე
სლოვაკეთი	პეტერ სურინი (სპორტი)	კანავარო	ანრი	ზიდანი	კლოზე	რონალდინიო
სლოვენია	ანდრეი შტარე (რტვ)	კანავარო	რონალდინიო	ბუფონი	დროგბა	ვიეირა
სომხეთი	სორენ ბაღდასარიანი (ფუტბოლ-პლუსი)	ბუფონი	კანავარო	ანრი	რონალდინიო	კაკა
უელსი	ალან ევანსი (უელშ ფუტბოლი)	კანავარო	ბუფონი	ეტოო	ზიდანი	კრ. რონალდუ
უკრაინა	იგორ ლინიკი (ტოპ ფუტბოლი)	კანავარო	დროგბა	ზიდანი	რონალდინიო	ანრი
უნგრეთი	მატიაშ იმრე (WWW.N1.HU)	ბუფონი	ანრი	კანავარო	რონალდინიო	კლოზე
ფარერები	ჰილმარ იან ჰანსენი (უტვარპ ფოროია)	რონალდინიო	კანავარო	ზიდანი	ანრი	პუიოლი
ფინეთი	მატი ეინიო (ილტა-სანემატი)	კანავარო	კლოზე	ანრი	ლემანი	პუიოლი
ყაზახეთი	გენივ ტულეგენოვი (პროსპორტი)	ზიდანი	კანავარო	რონალდინიო	დროგბა	ანრი
შვედეთი	მატიას გორანსონი (ოფსაიდ ფუტბოლი)	ბუფონი	კანავარო	კლოზე	ანრი	ძამბროტა
შვეიცარია	პიერ-ალან დუპისი (ტსრ)	ბუფონი	კანავარო	ანრი	რონალდინიო	დროგბა
შოტლანდია	ბრაიან სკოტი (დეილი მეილი)	კანავარო	ბუფონი	კლოზე	ზიდანი	რიბერი
ჩეხეთი	სტანისლავ ჰრაბე (გოლი)	ზიდანი	კანავარო	დეკუ	კლოზე	ძამბროტა
ჩრდ. ირლანდია	ჯოელ ტაგარტი (BBC)	კანავარო	ანრი	კრ. რონალდუ	რონალდინიო	ტერი
ხორვატია	ზორაბკო რეიჩი (სპორტსკე ნოვოსტი)	ბუფონი	ლემანი	ეტრო	დროგბა	ანრი
ჰოლანდია	ფრანს ვან დენ ნიუვენჰოფი (ეინდჰოვენს დაგბლადი)	კანავარო	რონალდინიო	ეტოო	ჟუნინიო	კაკა

„ოქროს ბურთის“ ყველა ფლობელი 1956-2006

1956 - სტენლი მეტიუზი --------- ბლეკპული ---------- ინგლისი
1957 - ალფრედო დი სტეფანო -- რეალი ---------- არგენტინა/ესპანეთი
1958 - რაიმონ კოპა ---------- რეალი ---------- საფრანგეთი
1959 - ალფრედო დი სტეფანო -- რეალი ---------- არგენტინა/ესპანეთი
1960 - ლუის სუარესი ---------- ბარსელონა ---------- ესპანეთი
1961 - ომარ სივორი ---------- იუვენტუსი ---------- იტალია
1962 - იოჟეფ მასოპუსტი -------- დუკლა ---------- ჩეხოსლოვაკია
1963 - ლევ იაშინი ---------- დინამო მოსკოვი ---------- სსრკ
1964 - დენის ლოუ ---------- მანჩესტერ იუნაიტედი ----- შოტლანდია
1965 - ეუსებიო ---------- ბენფიკა ---------- პორტუგალია
1966 - ბობი ჩარლტონი ---------- მანჩესტერ იუნაიტედი --------- ინგლისი
1967 - ფლორიან ალბერტი ------ ფერენცვაროში ---------- უნგრეთი
1968 - ჯორჯ ბესტი ---------- მანჩესტერ იუნაიტედი - ჩრდ. ირლანდია
1969 - ჯანი რივერა ---------- მილანი ---------- იტალია
1970 - გერდ მიულერი ---------- ბაიერნი ---------- გფრ
1971 - იოჰან კრუიფი ---------- აიაქსი ---------- ჰოლანდია
1972 - ფრანც ბეკენბაუერი ------ ბაიერნი ---------- გფრ
1973 - იოჰან კრუიფი ---------- ბარსელონა ---------- ჰოლანდია
1974 - იოჰან კრუიფი ---------- ბარსელონა ---------- ჰოლანდია
1975 - ოლეგ ბლოხინი ---------- დინამო კიევი ---------- სსრკ
1976 - ფრანც ბეკენბაუერი ------ ბაიერნი ---------- გფრ
1977 - ალან სიმონსენი ---------- მიონხენგლადბახი ---------- დანია
1978 - კევინ კიგანი ---------- ჰამბურგი ---------- ინგლისი
1979 - კევინ კიგანი ---------- ჰამბურგი ---------- ინგლისი
1980 - კარლ ჰაინც რუმენგე ----- ბაიერნი ---------- გფრ
1981 - კარლ ჰაინც რუმენგე ----- ბაიერნი ---------- გფრ
1982 - პაოლო როსი ---------- იუვენტუსი ---------- იტალია
1983 - მიშელ პლატინი ---------- იუვენტუსი ---------- საფრანგეთი
1984 - მიშელ პლატინი ---------- იუვენტუსი ---------- საფრანგეთი
1985 - მიშელ პლატინი ---------- იუვენტუსი ---------- საფრანგეთი
1986 - იგორ ბელანოვი ---------- დინამო კიევი ---------- სსრკ
1987 - რუუდ გულიტი ---------- მილანი ---------- ჰოლანდია
1988 - მარკო ვან ბასტენი ------- მილანი ---------- ჰოლანდია
1989 - მარკო ვან ბასტენი ------- მილანი ---------- ჰოლანდია
1990 - ლოთარ მათეუსი ---------- ინტერი ---------- გფრ
1991 - ჟან პიერ პაპენი ---------- მარსელი ---------- საფრანგეთი
1992 - მარკო ვან ბასტენი ------- მილანი ---------- ჰოლანდია
1993 - რობერტო ბაჯო ---------- იუვენტუსი ---------- იტალია
1994 - ხრისტო სტოიჩკოვი ------ ბარსელონა ---------- ბულგარეთი
1995 - ჟორჟ ვეა ---------- მილანი ---------- ლიბერია
1996 - მათიას ზამერი ---------- დორტმუნდი ---------- გერმანია
1997 - რონალდო ---------- ინტერი ---------- ბრაზილია
1998 - ზინედინ ზიდანი ---------- იუვენტუსი ---------- საფრანგეთი
1999 - რივალდო ---------- ბარსელონა ---------- ბრაზილია
2000 - ლუიშ ფიგუ ---------- რეალი ---------- პორტუგალია
2001 - მაიკლ ოუენი ---------- ლივერპული ---------- ინგლისი
2002 - რონალდო ---------- ინტერი, რეალი ---------- ბრაზილია
2003 - პაველ ნედვედი ---------- იუვენტუსი ---------- ჩეხეთი
2004 - ანდრეი შევჩენკო --------- მილანი ---------- უკრაინა
2005 - რონალდინიო ---------- ბარსელონა ---------- ბრაზილია
2006 - ფაბიო კანავარო ---------- რეალი ---------- იტალია

აქ განისვენებს კაცი, რომელმაც მადრიდის „რეალს“ კაკა ვერ შეუყვანა

რამონ კალდერონი საფლავის ქვაზე ლაპარაკობს

როცა მადრიდის „რეალის“ პრეზიდენტ რამონ კალდერონს სამეფო თეთრების ინჩასებმა და მადრიდულმა მედიამ თხოვნა-ყვედრებით კაკას ამბავი ყელში ამოუყვანეს — აქაოდა, პრეზიდენტობის არჩევნებისას თქმული დანაპირები რატომ არ შეგვისრულე და „მილანის“ ვარსკვლავი „სანტიაგო ბერნაბეუზე“ არ მოიყვანეო — გაცოფებულმა თავკაცმა მიკროფონებში ნერვიულად ჩააყვირა: „თქვენ მე სიგიჟემდე მიმიყვანთ! სულ კაკა და კაკა! მაშინ ასე მოვიქცეთ, თუ ბრაზილიელის ყიდვა ვერ შევძელი, როცა მოვკვდები, მოდით და საფლავის ქვაზე დამაწერეთ — აქ განისვენებს კაცი, რომელმაც მადრიდის „რეალში“ კაკა ვერ მოიყვანა“. სენიორ კალდერონმა ეს სიტყვები ორი კვირის წინ მადრიდში გამართულ პრესკონფერენციაზე წარმოთქვა და პრეზიდენტის სასოწარკვეთის შემხედვარე ჟურნალისტებსაც მერე კაკაზე კრინტი აღარ დაუძრავთ. „რეალის“ გულშემატკივრებს კი „საფლავის ქვა“, ცხადია, არად ეპიტნავათ, კალდერონი ხომ ამით ბრაზილიელი ვარსკვლავის შეძენაზე ფაქტობრივად უარს აცხადებდა...

მოვლენები კი ბოლო ხანებში „რეალის“ სასიკეთოდ შეიცვალა და რამონ კალდერონიც ძველებურად ხელჩაქნეული აღარ ჩანს. „ჩვენ ძალიან სარფიანი სატელევიზიო კონტრაქტი გავაფორმეთ, რაც შესაძლებლობას მოგვცემს, მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელები ვიყიდოთ. ყოველ შემთხვევაში, როცა თავის დროზე რამონ კალდერონის საფლავთან მიხვალთ, ამ კაცმა კაკა ვერ იყიდაო, იქ ნამდვილად არ წაიკითხავთ“ — განაცხადა პრეზიდენტმა მედიასთან გუშინდელი შეხვედრისას. ხსენებულ სატელევიზიო კონტრაქტში „რეალმა“ მილიარდ ასი მილიონი ევრო მოგება ნახა.

ლადო ხომერიკი

დამიძახეთ და მანდ გავჩნდები

იტალიის ნაკრებისა და ტურინის „იუვენტუსის“ ყოფილმა თავდამსხმელმა ჯანლუკა ვიალიმ განაცხადა, რომ „ჩელსიში“ დაბრუნებასა და ლონდონელთა კიდევ ერთხელ გაწვრთნაზე ოცნებობს. შეგახსენებთ, რომ 1998-2001 წლებში იგი „ჩელსის“ მოთამაშე-მწვრთნელი იყო.

„ჩელსიდან“ წასვლის შემდეგ ცოტა ხანი „უოტფორდს“ წვრთნიდა, მაგრამ იქ წარმატებას ვერ მიაღწია და მას მერე ამ საქმისთვის ხელი აღარც მოუკიდია. ამჟამად ვიალი **SKY ITALIA**-ზე კომენტატორად მუშაობს.

„ახლა მწვრთნელობის შესახებ წინადადებას არ განვიხილავ, თუმცა, როცა დრო მოვა და კარგ შემოთავაზებას მივიღებ, ალბათ ამ საქმეს დავუბრუნდები. ძალიან მინდა, „ჩელსი“ კიდევ ერთხელ ჩავიბარო. ეს ჩემი ოცნებაა, რომელიც არა მგონია, ამიხდეს, უახლოეს წლებში მაინც. ჟოზე მაურინიუ მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო მწვრთნელია და თავის საქმეს ბრწყინვალედ აკეთებს. თუმცა ლონდონელები თუ დამიძახებენ, სიხარულით დავთანხმდები“ — აღნიშნა ვიალიმ.

BBC-სთან საუბრისას მან კომენტარი ანდრეი შევჩენკოზეც გააკეთა. მოგეხსენებათ, ზაფხულში „მილანიდან“ „ჩელსიში“ გადასული უკრაინელი ფორვარდი პრემიერლიგას ჯერ ვერ მოერგო და ამ სეზონში სათანადოდ არ უთამაშია.

ჯანლუკა ვიალი: „როცა ერთი ქვეყნიდან მეორეში გადადიხარ, სირთულეები ბუნებრივია. თანაც, როცა იგი „ჩელსიში“ ჩაირიცხა, კარგ ფორმაში არ იყო. შევჩენკო მსოფლიოს ჩემპიონატამდე ტრავმირებული იყო და მუნდიალის მერე დასასვენებლად ბევრი დრო არ ჰქონდა. ვფიქრობ, მალე მის რეალურ ძალას ვიხილავთ. ანდრეი ბრწყინვალე ფორვარდია და ამას კიდევ ერთხელ დაამტკიცებს, მაგრამ დრო სჭირდება“.

გიორგი კაკაბაძე

ვინ გვარცხვენს?

არ შეავსოთ ქვითრები და შეეშვით ლოთობას!


ალან პერდიუ

ამ კვირაში „ვესტ ჰემის“ ბოსი ალან პერდიუ თავის ფეხბურთელებს დაიბარებს გულახდილი ლაპარკისთვის.

სალაპარკო თემა ერთი იქნება: მეკარე კეროლის მაზიანების კულტურაზე უკვე ავადმყოფური დამოკიდებულება, რომელმაც მისი კარიერა დანგრევის პირას მიიყვანა.

კეროლი ახლა თურმე ლოთობისა და მაზავიკობისგან ერთდროულად განკურნებას ცდილობს, პერდიუს კი არ უნდა, რომ მისი სამწუხარო მაგალითი ფეხბურთელებისთვის გადამდები აღმოჩნდეს.

კეროლს, ჩრდილო ირლანდიის ეროვნულისა და ადრე „მანჩესტერის“ მეკარეს უკვე დიდი ვალებიც კი დასდებია.

„ეს დიდი პრობლემაა ფეხბურთში — ამბობს პერდიუ — არა მხოლოდ ტოტალიზატორი, არამედ სათამაშო ავტომატებიც კი ბევრ ფეხბურთელს ისე უმწარებს სიცოცხლეს, რომ ვერც ამჩნევენ“. პერდიუმ იმაზეც ილაპარაკა „ვესტ ჰემს“ რომ ახალი, ისლანდიელი პატრონი ეყოლება და ეგერტ მაგნუსონის მოსვლა დადებითად შეაფასა და თქვა, რომ ის საიდუმლო ხლართებში გაბურდული კია ჯურაბჩიანის ისტორია კლუბისთვის უარყოფითი გამოდგა.

„ეს კაცი ჩვენს ორ არგენტინელ ფეხბურთელს ფლობდა და თითქოს მთლიანად კლუბიც უნდოდა — თქვა პერდიუმ — ასე ამბობდნენ. თუმცა, ასე არ გვინდოდა. ამან კლუბს დაღი დაასვა. შეშლილი დრო გვედგა, დიდი დაწოლის ქვეშ ვიყავით. ფეხბურთელი რომ ვიყო და ვიცოდე, რომ ტიპი, რომელიც ორი ჩემი მეგობარის პატრონია და მეც ვუნდივარ, ნამდვილად ვიღელვებდი“.

ირაკლი გამყრელიძე

დღეს ლუი საამ შეიძლება ვერ ითამაშოს

ორი საეჭვო ეშმაკი

„მანჩესტერ იუნაიტედს“ „ევერტონთან“ მატჩის წინ სერიოზული პრობლემა შეექმნა. „წითელი ეშმაკების“ თქმით, „ჩელსისთან“ დაშავებულმა კრიშტიანუ რონალდუმ და ლუი საამ მომჯობინება ვერ მოასწრეს და ლივერპულელებთან მათი თამაში საეჭვოა.

სერ ალექს ფერგიუსონისთვის ეს დიდი პრობლემაა, რადგან ოლე გუნარ სოლსკიერი, რა ხანია, დაშავებულია, ბოლომდე მზად არც ალან სმიტია და თავდასხმაში გუნდი მხოლოდ უეინ რუნის იმედზეღა იქნება.

მიუხედავად ამისა, მაინც ოპტიმისტურ განწყობაზეა მანჩესტერელთა ნახევარმცველი მაიკლ კარიკი: „უახლოეს მომავალში რამდენიმე რთული მატჩი გველის, „ევერტონთან“ შეხვედრის ჩათვლით. თუმცა კარგ განწყობაზე ვართ და აუცილებლად უნდა მოვიგოთ, რათა „ჩელსის“ წამოწევის საშუალება არ მივცეთ. წინა ტურში ლონდონელებთან რომ გვემარჯვა, იდეალური ვარიანტი იქნებოდა, მაგრამ არა უშავს, ისევ წინ ვართ, მშვენივრად ვთამაშობთ და ასე უნდა გავაგრძელოთ. პრემიერლიგაში მართლაც მძიმე ბრძოლა იქნება, რადგან „ჩელსი“ კვლავ ბრწყინვალე გუნდია და ტიტულებისკენ მიისწრაფვის, მაგრამ ჩვენ ჩვენი გეგმები გვაქვს.“

არანაკლები დანაკლისი აქვს „ევერტონსაც“. ხანგრძლივი დროით დაშავებული ტიმ კეჰილის გარდა, დევიდ მოიესი მთავარმეგოლე ენდრიუ ჯონსონსაც ვერ დაიხმარს. არ იქნება ძირითადი მეკარე ტიმ ჰოვარდი. მოგეხსენებათ, იგი „მანჩესტერიდანაა“ ნათხოვარი და კონტრაქტის ერთ-ერთი პუნქტის თანახმად, „წითელი ეშმაკების“ წინააღმდეგ ვერ ითამაშებს.

კოკი კანდელაკი

ანა და მანე

ბასკური „ბილბაოს“ ახალი მწვრთნელი ხოსე მანუელ ერნალ „მანე“ გახდა. ბასკების ყოფილი თავკაცი ფელიქს სარიუგარტე კი კლუბის უფროსობამ ცუდი შედეგების გამო დაითხოვა. „ჩვენ ფელიქსს ბოლო მომენტამდე მხარს ვუჭერდით, თუმცა სიტუაცია ძალიან დამძიმდა და პრობლემების გადაჭრას კლუბში სამწვრთნელო ცვლილებებითღა თუ შეეძლებთ“ — აღნიშნა კლუბის პრეზიდენტმა ანა ურკიხომ.

ბასკურ ფლაგმანში კრიზისია, ბოლო 13 თვის განმავლობაში გუნდმა სამი მწვრთნელი (ხოსე ლუის მენდილიბარი, ხავიერ კლემენტე, ფელიქს სარიუგარტე) გამოიცვალა. სარიუგარტე „ბილბაოს“ მწვრთნელად გასული სეზონთაშორისის დროს მივიდა და თავის გამოჩენა ვერ შეძლო. „ბილბაომ“ საამსეზონოდ 14 ოფიციალური მატჩი გამართა (12 პრიმერაში და ორი კოპა დელ რეიზე) და ოდენ ერთში გაიმარჯვა. სადღეისოდ პრიმერადივიზიონის ცხრილში მეთვრამეტე ადგილზეა და სეგუნდაში გავარდნა ემუქრება.

„ყველაფერს გავაკეთებ, რათა გუნდი სეგუნდადივიზიონში არ დაქვეითდეს. იმედი მაქვს, გუნდის უფროსობისა და ფეხბურთელების მხრიდან სრული მხარდაჭერა მექნება“ — განაცხადა ახალდანიშნულმა „მანემ“ ჟურნალისტებთან.

ლადო ხომერიკი

ფეხბურთის რუკასთან

ინგლისური „მიდლსბროს“ მცველი უგო ეჰიოგუ ერთი თვით „ლიდსს“ ათხოვეს, რომელიც ჩემპიონლიგიდან გავარდნის კანდიდატია. 34 წლის ფეხბურთელი სეზონის ბოლომდე ითამაშებს და შეეცდება, „ლიდსის“ დასუსტებული დაცვა გააძლიეროს. უგო ეჰიოგუ, რომელიც „მიდლსბროში“ „ასტონ ვილადან“ მივიდა, ამ სეზონში ძირითად შემადგენლობაში ვერ ხვდებოდა და მწვრთნელი გარეთ საუთგეიტი ამიტომაც შეელია.

ჰოლანდიური „აიაქსის“ ფორვარდმა კენეტ პერესმა რასისტული შეურაცხყოფისთვის მოუბოდიშა თანამსაჯ ნიკი სიებერტს. „ტვენტესთან“ მატჩის დროს აიაქსელმა ალმიანს „შავი კიბო“ უწოდა. „მრცხვენია ჩემი საქციელის და მისტერ სიებერტს ბოდიშს ვუხდი“ — განაცხადა პერესმა კლუბის ოფიციალურ ვებგვერდზე.

პორტუგალიელმა ლუიშ ფიგუმ თქვა, რომ კარიერის დასრულების შემდეგ ბიზნესმენი გახდება, კარიერას კი ერთ ან ორ წელიწადში დაამთავრებს. „ძალიან მიშწონს დეკორაციები და არქიტექტურა. სასტუმროების და უძრავი ქონების ბიზნესში მსურს ფულის ჩადება. ასევე ენერგეტიკაში და მოდაშიც ვაპირებ თანხების დაბანდებას“ — ბრძანა ფიგუმ „დიარიო ეკონომიკოსთან“ ინტერვიუში.

გერმანული „ნიურნბერგის“ სლოვაკი ფორვარდი მარეკ მინტალი საგარაუდოდ სეზონის ბოლომდე ვეღარ ითამაშებს. მას 2005 წლის სექტემბერში მიღებული ტრავმა ვაუმიზეზდა. შარშან ოპერაცია კი ვაიკეთა, მაგრამ დროდადრო ტკივილს გრძნობს და, ექიმის თქმით, დაახლოებით ოთხთვიანი მკურნალობა სჭირდება. შეგახსენებთ, რომ მინტალი 2004-2005 წლების ბუნდესლიგის საუკეთესო ბომბარდირი გახდა.

ინგლისურ „ტოტენჰემს“ საზარდულის ტრავმის გამო ორი კვირით დააკლდება ეგვიპტელი ფორვარდი აჰმედ ჰოსამ მიდო. მან ვერ ითამაშა „უიგანთან“ მოგებულ შეხვედრაში და შეტევაში დიმიტარ ბერბატოვს ჯერმენ დეფო ეხმარებოდა, რამაც გაამართლა.

ფრანგული „მარსელის“ ფორვარდი ჯიბრილ სისე უახლოეს სამ კვირაში თამაშს შეძლებს. საფრანგეთის ნაკრების თავდამსხმელმა ივნისში ჩინეთთან ამხანაგურ მატჩში ფეხი მოიტეხა, რის გამოც მსოფლიოს ჩემპიონატი გაუცდა. იგი გასულ ზაფხულს „ლივერპულმა“ „მარსელს“ ათხოვა ერთი სეზონით. „9 ან 16 დეკემბერს დავბრუნდები, მაგრამ ჯერ ასი პროცენტით არ ვარ დარწმუნებული. თავს კარგად ვგრძნობ და ტკივილმა საბოლოოდ გამიარა. „მარსელი“ 9 დეკემბერს „მონაკოს“ უმასპინძლებს, 16-ში კი „ნანსის“ ეწვეკა.

ესპანელი მსაჯები სტრაიკტიზს ემხრობიან

ესპანელმა მსაჯებმა ფიფას წესების მართებულობაში ეჭვი შეიტანეს. საქმე ცნობილ მოვლენას ეხება — როცა ფეხბურთელები გოლის გატანის შემდეგ სიხარულით მაისურას იხდიან, რაც ფიფას წესებით ყვითელი ბარათით ისჯება. არბიტრმა პერეს ლასამ გასულ შაბათს „ვილიარეალთან“ ფანტასტიკური გოლის მერე გაშიშვლებული რონალდინიო უმალ ყვითელი ბარათით დასაჯა.

გუშინწინ სააგენტო **EFE**-ს შტაბს პირინეელ არბიტრთა ბრიგადა ესტუმრა. ხულიან როდრიგეს სანტიაგომ, კარლოს ველასკო კარბაიომ და ანტონიო რუბინოს პერესმა ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადეს, რომ ფეხბურთისთვის გაცილებით უკეთესი იქნება, ფიფა თავის ნორმატივებს უფრო მოქნილს თუ გახდის. თუმცა მსაჯები იმაზეც შეთანხმდნენ, რომ მატჩებზე კონტროლისთვის ხშირ შემთხვევაში ყვითელი ბარათების ჩვენება აუცილებელია.

„ჩვენ მსაჯები ვართ და ფიფას და უეფას წესდებებს უნდა დავემორჩილოთ. ეს წესდება კი მოთამაშეებისთვის მატჩის მიმდინარეობის დროს მაისურის გაძრობისთვის ყვითელი ბარათის ჩვენებას ითვალისწინებს. პირადად ჩემი აზრით, ეს სისულელეა, თუმცა იძულებული ვარ, წესდება შევასრულო. ისე კი საინტერესოა, მაისურის გაძრობისთვის ფეხბურთელებს რატომ ვაჯარიმებთ“ — იკითხა როდრიგეს სანტიაგომ.

ხსენებული არბიტრი ადრე ფეხბურთელი გახლდათ და მედიასთანაც განაცხადა, რომ ხშირად თამაშში ჩართვის სურვილი უჩნდება. „მატჩების დროს მეც თითქოს ერთ-ერთი მობურთალი ვხდები. ფეხბურთი ჩემთვის ყველაფერია და არ მინდა, უცნაური წესებით ეს მშვენიერი თამაში დაამახინჯონ. გადამეტებული ლიბერალიზმის მომხრე კი ნამდვილად არ ვარ, პირიქით, ვინც მსაჯებს შეურაცხყოფას აყენებს, ისინი მწარედ უნდა დასაჯონ. თამაშისას მიკროფონის ტარების უფლება რომ გვქონდეს, შემრწუნდებოდით, ზოგიერთი ფეხბურთელი ისე საძაგლად მოგვამართავს... ჩემი თხოვნა იქნება, ფიფას მესვეურებმა ყურადღება მაისურების გახდაზე კი არა, არბიტრების უსაფრთხოებაზე გადაიტანონ“ — თქვა სენიორ როდრიგეს სანტიაგომ.

ლადო ხომერიკი

პიტარჩი ირჩევს ოკეანისგაღმელს

ვაგნერ ფერეირას მადრიდში ელიან

მადრიდის „ატლეტიკო“ იანვრის სატრანსფერო ბაზარზე ახალი ფეხბურთელების შეძენას აპირებს. „ათლეტთა“ უპირველესი მიზანი პორტუგალიელი რიკარდუ კვარესმას შეძენაა. ლუზიტანიელმა ამას წინათ მადრიდში თავისი სავარაუდო გადაბარგების ფაქტი უარყო, თუმცა „ატლეტიკოს“ თავკაცებს იმედი აქვთ, რომ კვარესმა მაინც „ვისენტე კალდერონის“ გუნდის ფეხბურთელი გახდება. გარდა ამისა, კლუბში ტექნიკური დირექტორის, გარსია პიტარჩისგან სხვა სამომავლო ახალწვეულებზე ცნობებს ელოდებიან. სამომავლოთაგან ერთი გამოირჩევა — ვაგნერ ფერეირა დოს სანტოსი.

21 წლის ნახევარმცველის თამაში სენიორ პიტარჩს ბრაზილიაში ამასწინანდელი ვიზიტის დროს მოეწონა. მიუხედავად იმისა, რომ ახალგაზრდაა, ვაგნერი „კრუზეიროს“ ცენტრში შეუცვლელია და ბრაზილიის ნაკრების მწვრთნელმა დუნგამაც აგვისტოში ნორვეგიასთან გამართულ ამხანაგური მატჩისთვის მიიწვია. მაშინ ვაგნერის „სელესაოში“ დებიუტი არ შედგა, თუმცა „კრუზეიროს“ ფეხბურთელი, მედიის ცნობით, მალე დუნგას ნაკრებში ერთ-ერთი ფავორიტი მობურთალი გახდება. ოკეანისგაღმელი ძალიან ნიჭიერი ნახევარმცველია. ვაგნერმა წელს ბრაზილიაში უკვე 11 გოლი შეაგდო და თუ „ატლეტიკოში“ გადავიდა, ფრანგ ლუქსენთან ერთად საყრდენი ნახევარმცველის დუეტს შეადგენს. ბრაზილიის ჩემპიონატში კი ისე კარგად ითამაშა, რომ იქაურმა ფანებმა საინტერნეტო გამოკითხვით ქვეყნის პირველობაზე მობურთავე ყველაზე საუკეთესო უკან დაწეულ ნახევარმცველად აღიარეს.

ამჟამად ვაგნერის ტრანსფერი „ატლეტიკოსთვის“ პრიორიტეტულად არ ითვლება, თუმცა მადრიდელები ბრაზილიელში ფულს არ დაიშურებენ, თუ იანვარში რიკარდო კვარესმას „ვისენტე კალდერონზე“ მისვლა ჩაიშალა. და თუ პორტუგალიელმა ესპანეთის სატახტოში გადაბარგება გადაწყვიტა, „ათლეტები“ ვაგნერის შეძენას მომავალ სეზონში ეცდებიან. „ჩვენ კარგი ფეხბურთელები გვაინტერესებს, ხოლო გუნდი ძალიან ახალგაზრდა გვყავს“ — განაცხადა კვირას „ატლეტიკოს“ ერთ-ერთმა თავკაცმა სერეზომ — „ვაგნერი ახალგაზრდაკაა და შესანიშნავადაც თამაშობს“.

ლადო ხომერიკი

იტალია

სერია B. XIII ტური

ფროზინონე 1:1 მანტოვა

ნაპოლი	13	7	4	2	14:8	25
იუვენტუსი	13	10	3	0	25:5	24
პიაჩენცა	13	7	2	4	14:14	23
რიმინი	13	6	4	3	19:11	22
ჩეზენა	13	6	4	3	22:17	22
ბოლონია	13	7	1	5	16:13	22
ჯენოა	13	6	3	4	22:18	21
მანტოვა	13	5	6	2	16:12	21
ტრიესტინა	13	5	6	2	10:7	20
ბრეშა	13	5	5	3	12:11	20
ფროზინონე	13	5	3	5	14:13	18
ბარი	13	5	3	5	12:9	18
ალბინოლეფე	13	3	9	1	11:10	18
ტრევიზო	13	3	6	4	14:16	15
სპეცია	13	3	6	4	12:14	15
ლეჩე	13	4	2	7	17:21	14
მოდენა	13	4	2	7	9:15	14
კროტონე	13	3	4	6	12:20	13
ვერონა	13	2	5	6	5:11	11
ვიჩენცა	13	1	4	8	9:16	7
პესკარა	13	0	5	8	9:20	4
არეცო	13	0	5	8	2:15	-1

ტრიესტინას დაკლებული აქვს 1 ქულა, პესკარას 1 ქულა, არეცოს 6 ქულა, იუვენტუსს 9 ქულა

პორტუგალია

სუპერლიგა. XI ტური

სეტუბალი 1:2 ბრაგა

პორტუ	11	9	1	1	24:7	28
სპორტინგი	11	8	2	1	18:7	26
ბრაგა	11	6	2	3	15:13	20
ბენფიკა	10	6	1	3	21:13	19
ნასიონალი	11	6	1	4	19:11	19
ლეირია	11	5	2	4	11:13	17
ნავალი	11	4	4	3	10:9	16
მარიტიმუ	11	5	1	5	12:12	16
ფერეირა	11	4	4	3	13:14	16
აკადემიკა	11	3	4	4	15:15	13
ბოავიშტა	11	3	3	5	12:15	12
ბელენენსეში	10	3	2	5	7:8	11
სეტუბალი	11	2	3	6	8:15	9
ამადორა	11	2	2	7	5:16	8
ბეირა მარი	11	1	4	6	13:24	7
ავეში	11	1	2	8	8:19	5

ჩეხეთი

გამბრინუსლიგა

XVI ტური

ტეპლიცე 2:4 სლავია

სპარტა	16	9	6	1	18:6	33
სლავია	16	9	4	3	27:14	31
ლიბერეცი	16	8	6	2	22:9	30
ბოლესლავი	16	9	3	4	25:17	30
იაბლონეცი	16	6	7	3	20:15	25
ბუდეიოვიცე	16	7	4	5	19:20	25
ბრნო	16	6	6	4	13:14	24
ტეპლიცე	16	6	5	5	28:22	23
ბანიკი	16	5	6	5	21:21	21
პლზენი	16	4	6	6	16:20	18
კლადნო	16	5	3	8	16:25	18
მოსტი	16	3	7	6	18:23	16
სიგმა	16	4	3	9	15:22	15
პრჟიბრამი	16	2	7	7	11:19	13
ზლინი	16	3	4	9	11:21	13
სლოვაკეკო	16	1	5	10	11:23	8

გერმანია

II ბუნდესლიგა. XIV ტური

მიუნხენი 2:1 კოგლენცი

კარლსრუე	14	9	5	0	35:16	32
ჰანზა	14	9	5	0	26:10	32
დუისბურგი	14	6	7	1	26:14	25
ლაუტერნი	14	7	4	3	22:14	25
მიუნხენი	14	7	3	4	17:14	24
აუე	14	7	2	5	20:19	23
აუგსბურგი	14	5	5	4	13:12	20
კიოლნი	14	5	4	5	21:17	19
კობლენცი	14	5	4	5	18:17	19
ფიურტი	14	4	5	5	23:20	17
პადერბორნი	14	4	4	6	11:15	16
ფრაიბურგი	14	3	6	5	15:19	15
კარლ ცაისი	14	3	6	5	18:29	15
უნტერჰახინგი	14	3	5	6	10:14	14
ოფენბახი	14	3	4	7	14:21	13
ბურგჰაუზენი	14	3	3	8	13:28	12
ესენი	14	2	3	9	12:19	9
ბრაუნშვაიგი	14	1	5	8	9:25	8

სარბიელი ᲓᲐ ᲙᲠᲝᲙᲘ

წარმოგიდგენთ

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		ინგლისი. პრემიერლიგა						
		29 ნოემბერი						
23:45	2	ასტონ ვილა-სიტი	1.75	3.40	4.50	1.15	1.25	1.93
23:45	3	ფულემი-არსენალი	6.00	3.50	1.60	2.21	1.26	1.09
23:45	5	ლივერპული-პორტსმუთი	1.50	3.70	6.50	1.06	1.21	2.35
23:45	6	მანჩესტერი-ევერტონი	1.30	4.60	9.50	1.01	1.14	3.09
23:45	8	ბოლტონი-ჩელსი	5.10	3.40	1.65	2.03	1.24	1.11
		ინგლისი. ჩემპიონატი						
		29 ნოემბერი						
23:45	31	დერბი-იფსვიჩი	1.80	3.40	4.00	1.17	1.24	1.83
23:45	32	საუთემპტონი-ბირმინგემი	2.45	3.20	2.65	1.38	1.27	1.44
		შოტლანდია. პრემიერლიგა						
		2 დეკემბერი						
19:00	57	სელტიკი-აბერდინი	1.25	5.50	9.50	1.01	1.10	3.48
19:00	59	ჰიბერნიანი-დანდი იუნ.	1.55	3.50	5.50	1.07	1.20	2.13
19:00	60	ინვერნესი-მოზერუელი	1.90	3.20	3.65	1.19	1.24	1.70
19:00	61	კილმარნოკი-დანფერმლაინი	1.57	3.50	5.50	1.08	1.22	2.13
19:00	62	სტ.მირენი-ჰართსი	3.30	3.20	2.00	1.62	1.24	1.23
		3 დეკემბერი						
18:00	63	ფოლკირკი-რეინჯერსი	7.00	3.70	1.45	2.42	1.20	1.04
		გერმანია. I ბუნდესლიგა						
		1 დეკემბერი						
23:30	79	მაინცი-შტუტგარტი	3.85	3.20	1.90	1.74	1.27	1.19
		2 დეკემბერი						
18:30	81	ბაიერნი-მიონხენგლადბახი	1.20	5.50	13.00	1.00	1.09	3.86
18:30	83	არმინია-ლევერკუზენი	2.35	3.20	2.90	1.35	1.29	1.52
18:30	84	ბოხუმი-ჰამბურგი	2.85	3.20	2.35	1.50	1.28	1.35
18:30	85	კოტბუსი -ჰანოვერი	2.25	3.10	3.10	1.30	1.30	1.54
18:30	86	დორტმუნდი-ვოლფსბურგი	1.85	3.20	4.20	1.17	1.28	1.81
18:30	87	ვერდერი-ჰერტა	1.60	3.60	5.40	1.10	1.23	2.15
		3 დეკემბერი						
20:00	88	ალემანია-აინტრახტი	2.30	3.20	2.90	1.33	1.28	1.52
20:00	89	ნიურნბერგი-შალკე	3.20	3.10	2.20	1.57	1.30	1.28
		იტალია. სერია A						
		2 დეკემბერი						
21:00	153	ინტერი-სიენა	1.20	5.40	13.00	1.00	1.09	3.81
23:30	155	რომა-ატალანტა	1.30	4.50	9.50	1.00	1.14	3.05
		3 დეკემბერი						
18:00	157	კალიარი-მილანი	4.30	3.20	1.85	1.83	1.29	1.17
18:00	159	ფიორენტინა-ლაციო	1.95	3.10	3.90	1.19	1.29	1.72
18:00	160	ლივორნო-კიევო	1.90	3.00	4.30	1.16	1.31	1.76
18:00	162	მესინა-სამპდორია	2.35	2.90	3.10	1.29	1.33	1.49
18:00	163	პარმა-პალერმო	4.10	3.00	1.95	1.73	1.32	1.18
18:00	165	ტორინო-ემპოლი	2.05	3.00	3.65	1.21	1.31	1.64
18:00	166	უდინეზე-რეჯინა	1.85	3.00	4.60	1.14	1.31	1.81
23:30	167	ასკოლი-კატანია	2.55	2.90	2.85	1.35	1.34	1.43
		ესპანეთი. I დივიზიონი						
		2 დეკემბერი						
23:45	199	ბეტისი-ატლეტიკო	2.75	2.90	2.60	1.41	1.33	1.37
23:00	203	ლევანტე-ბარსელონა	7.00	4.00	1.40	2.54	1.16	1.03
23:00	208	უელვა-ვალენსია	3.20	3.00	2.25	1.54	1.32	1.28
		3 დეკემბერი						
20:00	200	ესპანიოლი-სევილია	3.30	3.10	2.10	1.59	1.28	1.25
20:00	202	დეპორტივო-რასინგი	1.90	3.30	3.75	1.20	1.26	1.75
20:00	205	მალიორკა-სელტა	2.35	3.00	3.00	1.31	1.31	1.50
22:00	206	რეალი-ბილბაო	1.22	5.30	10.00	1.00	1.08	3.46
20:00	209	სოსიედადი-ხეტაფე	2.45	3.10	2.80	1.36	1.30	1.47
20:00	210	ვილიარეალი-ტარაგონა	1.42	3.90	7.00	1.04	1.18	2.50
23:45	211	სარაგოსა-ოსასუნა	1.55	3.60	5.50	1.08	1.20	2.17
		ჰოლანდია. I დივიზიონი						
		29 ნოემბერი						
23:00	266	ვიტესი-ჰერენვენი	2.15	3.30	2.95	1.30	1.24	1.55
		1 დეკემბერი						
23:15	267	ვალვაიკი-სპარტა	2.15	3.30	2.95	1.30	1.24	1.55
		2 დეკემბერი						
22:30	268	დენ ჰააგი-ნაიმეგენი	2.25	3.40	2.80	1.35	1.24	1.53
23:00	269	ჰერაკლესი-როდა	2.75	3.20	2.30	1.47	1.25	1.33
23:00	270	ვიტესი-პსვ	5.70	3.80	1.50	2.27	1.18	1.07
22:30	277	ბრედა-ტვენტე	2.75	3.40	2.25	1.52	1.23	1.35
		3 დეკემბერი						
17:30	272	აიაქსი-ტილბურგი	1.15	6.00	14.00	1.00	1.06	4.19
17:30	274	ალკმაარი-ექსელსიორი	1.12	6.50	15.00	1.00	1.04	4.53
17:30	276	ფეიენოორდი-ჰერენვენი	1.65	3.40	5.00	1.11	1.24	2.02
17:30	278	უტრეხტი-გრონინგენი	2.05	3.30	3.25	1.26	1.25	1.63
		უეფას თასი						
		29 ნოემბერი						
23:45	374	ალკმაარი-ლიბერეცი	1.45	3.70	6.50	1.04	1.18	2.35
23:45	375	ბეშიქთაში-ბრიუგე	1.85	3.30	3.80	1.18	1.24	1.76
23:45	376	დინამო(ბქ)-ლევერკუზენი	2.25	3.20	2.80	1.32	1.24	1.49
23:45	377	გრასჰოპერი-სევილია	4.40	3.40	1.70	1.91	1.22	1.13
23:45	378	ლანსი-პარმა	1.55	3.40	6.50	1.06	1.25	2.23
23:45	379	ლივორნო-მაკაბი ჰ	1.75	3.30	4.00	1.14	1.21	1.80
23:45	380	ოსასუნა-ოდენსე	1.45	3.70	7.00	1.04	1.20	2.42
23:45	381	პარტიზანი-ოსერი	2.25	3.20	2.75	1.32	1.23	1.47
		30 ნოემბერი						
23:45	382	აიაქსი-ესპანიოლი	1.75	3.20	4.50	1.13	1.25	1.87
23:45	383	აუსტრია-სპარტა(პ)	2.25	3.30	2.90	1.33	1.26	1.54
23:45	384	სელტა-ფენერბაჰჩე	1.80	3.30	4.20	1.16	1.25	1.84
23:45	385	აინტრახტი-ნიუკასლი	1.75	3.40	4.40	1.15	1.25	1.91
23:45	386	ბოლესლავი-პსუ	2.40	3.30	2.60	1.38	1.24	1.45
23:45	387	ნანსი-ფეიენოორდი	1.95	3.20	3.60	1.21	1.26	1.69
23:45	388	პანათინაიკოსი-რაპიდი(ბ)	1.70	3.40	4.50	1.13	1.23	1.93
23:45	389	ვისლა-ბახელი	2.35	3.20	2.70	1.35	1.25	1.46
		ინგლისი. თასი						
		29 ნოემბერი						
23:15	688	პორტ ვეილი-ქრიუ	2.30	3.30	2.65	1.35	1.23	1.46
23:30	689	ჩესტერფილდი-ჩესტერი	1.60	3.50	5.00	1.09	1.21	2.05
23:45	690	როვერსი-პიტერბრო	2.30	3.30	2.65	1.35	1.23	1.46
23:45	691	ნოტინგემი-ბრისტოლი	1.80	3.40	3.90	1.17	1.23	1.81
		როიალ ლიგა						
		30 ნოემბერი						
21:55	399	ბრიონდბიუ-ჰამარბი	1.90	3.30	3.50	1.20	1.23	1.69
22:00	400	აიკ-ვიბორგი	1.65	3.50	4.80	1.12	1.22	2.02
22:30	401	ლილესტრიომი-კოპენჰაგენი	2.45	3.10	2.65	1.36	1.27	1.42
		კატალონიური. ევროლიგა						
		29 ნოემბერი						
21:15	827	ცსკა-ბარსელონა	1.20	12.00	3.20	1.09	1.00	2.52
22:15	828	ეფესი-ბოლონია	1.20	12.00	3.20	1.09	1.00	2.52
21:00	830	პარტიზანი-პანათინაიკოსი	3.10	12.00	1.30	2.46	1.00	1.17
23:45	831	რომა-უნიკახა	1.60	12.00	2.10	1.41	1.00	1.78
		30 ნოემბერი						
22:15	829	ენერგია-ლე მანი	1.55	12.00	2.25	1.37	1.00	1.89
22:45	832	პროკომი-ტაუ	2.80	12.00	1.35	2.27	1.00	1.21
22:45	833	არისი-ჟალგირისი	1.45	12.00	2.30	1.29	1.00	1.93
22:45	834	ოლიმპიაკოსი-დინამო	1.15	12.00	4.00	1.04	1.00	3.00
22:45	835	მაკაბი-უნ ოლიმპია	1.05	12.00	8.00	1.00	1.00	4.80
23:45	836	პაუ-ბენეტონი	1.65	12.00	1.90	1.45	1.00	1.64
23:45	837	ნაპოლი-ულქერი	1.45	12.00	2.35	1.29	1.00	1.96
23:45	838	ხუვენტუდი-ციბონა	1.30	12.00	3.10	1.17	1.00	2.46
		იტალია. თასი						
		29 ნოემბერი						
23:45	393	ინტერი-მესინა	1.30	4.20	11.00	1.00	1.16	3.03
20:00	397	რომა-ტრიესტინა	1.30	4.20	11.00	1.00	1.16	3.03
		30 ნოემბერი						
18:00	391	კიევო-რეჯინა	2.05	3.00	3.60	1.21	1.30	1.63
23:45	395	პალერმო-სამპდორია	1.80	3.20	4.50	1.15	1.28	1.87

შესაძლო ცვლილებები ადგილზე დაგაზუსტეთ

I ტაიმის შედეგი

		1	X	2	1-X	1-2	X-2
10002	ასტონ ვილა-სიტი	2.35	2.00	4.70	1.08	1.56	1.40
10003	ფულემი-არსენალი	6.00	2.10	2.05	1.55	1.52	1.03
10005	ლივერპული-პორტსმუთი	1.90	2.20	6.90	1.01	1.48	1.66
10006	მანჩესტერი-ევერტონი	1.75	2.40	8.00	1.01	1.43	1.84
10008	ბოლტონი-ჩელსი	4.80	2.10	2.10	1.46	1.46	1.04
10374	ალკმაარი-ლიბერეცი	1.80	2.40	6.50	1.02	1.40	1.75
10375	ბეშიქთაში-ბრიუგე	2.30	2.10	4.30	1.09	1.49	1.41
10376	დინამო(ბქ)-ლევერკუზენი	2.85	2.00	3.35	1.17	1.53	1.25
10377	გრასჰოპერი-სევილია	4.95	2.10	2.15	1.47	1.49	1.06
10378	ლანსი-პარმა	1.90	2.30	6.50	1.04	1.47	1.69
10379	ლივორნო-მაკაბი ჰ	2.20	2.10	4.50	1.07	1.47	1.43
10380	ოსასუნა-ოდენსე	1.90	2.30	6.50	1.04	1.47	1.69
10381	პარტიზანი-ოსერი	2.80	2.00	3.40	1.16	1.53	1.25
10382	აიაქსი-ესპანიოლი	2.20	2.10	5.00	1.07	1.52	1.47
10383	აუსტრია-სპარტა(პ)	2.75	2.00	3.50	1.15	1.53	1.27
10384	სელტა-ფენერბაჰჩე	2.25	2.10	4.70	1.08	1.52	1.45
10385	აინტრახტი-ნიუკასლი	2.30	2.10	4.95	1.09	1.57	1.47
10386	ბოლესლავი-პსუ	3.00	2.00	3.20	1.20	1.54	1.23
10387	ნანსი-ფეიენოორდი	2.50	2.00	4.20	1.11	1.56	1.35
10388	პანათინაიკოსი-რაპიდი(ბ)	2.15	2.00	5.20	1.03	1.52	1.44
10389	ვისლა-ბაზელი	2.90	2.00	3.30	1.18	1.54	1.24

1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო

		1/1	1/X	1/2	X/1	X/X	X/2	2/1	2/X	2/2
11002	ასტონ ვილა-სიტი	2.70	10.00	20.00	3.80	4.40	6.50	20.00	[illegible]	[illegible]
11003	ფულემი-არსენალი	8.00	10.00	20.00	12.00	5.00	3.50	20.00	12.00	[illegible]
11005	ლივერპული-პორტსმუთი	2.20	10.00	20.00	3.50	4.60	9.00	20.00	10.00	8.00
11006	მანჩესტერი-ევერტონი	1.85	15.00	30.00	3.50	5.00	11.00	20.00	11.00	11.00
11008	ბოლტონი-ჩელსი	7.00	10.00	20.00	7.50	4.40	3.50	20.00	10.00	2.40
11374	ალკმაარი-ლიბერეცი	1.80	12.00	30.00	3.40	4.80	12.00	20.00	11.00	11.00
11375	ბეშიქთაში-ბრიუგე	2.70	10.00	20.00	3.60	4.40	7.00	20.00	10.00	6.00
11376	დინამო(ბქ)-ლევერკუზენი	3.30	10.00	20.00	4.40	5.60	20.00	10.00	4.80	4.80
11377	გრასჰოპერი-სევილია	6.50	10.00	20.00	7.50	4.40	3.60	20.00	10.00	2.60
11378	ლანსი-პარმა	2.00	12.00	25.00	3.50	4.60	10.00	20.00	10.00	10.00
11379	ლივორნო-მაკაბი ჰ	2.60	10.00	20.00	3.60	4.40	7.50	20.00	10.00	6.50
11380	ოსასუნა-ოდენსე	2.00	12.00	25.00	3.50	5.00	10.00	20.00	10.00	10.00
11381	პარტიზანი-ოსერი	3.30	10.00	20.00	4.40	4.40	5.60	20.00	10.00	4.80
11382	აიაქსი-ესპანიოლი	2.60	10.00	20.00	3.60	4.40	7.50	20.00	10.00	6.50
11383	აუსტრია-სპარტა(პ)	3.30	10.00	20.00	4.40	4.40	5.60	20.00	10.00	4.80
11384	სელტა-ფენერბაჰჩე	2.60	10.00	20.00	3.60	4.40	7.00	20.00	10.00	6.00
11385	აინტრახტი-ნიუკასლი	2.50	10.00	20.00	3.50	4.60	7.50	20.00	10.00	7.00
11386	ბოლესლავი-პსუ	3.50	10.00	20.00	4.60	4.40	4.80	20.00	10.00	4.00
11387	ნანსი-ფეიენოორდი	2.80	10.00	20.00	3.80	4.40	6.50	20.00	10.00	5.60
11388	პანათინაიკოსი-რაპიდი(ბ)	2.40	10.00	20.00	3.50	4.60	7.50	20.00	10.00	7.00
11389	ვისლა-ბაზელი	3.40	10.00	20.00	4.40	4.40	5.30	20.00	10.00	4.40

რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

		ნაკ.	მეტ.
12002	ასტონ ვილა-სიტი	1.60	2.00
12003	ფულემი-არსენალი	1.70	1.90
12005	ლივერპული-პორტსმუთი	1.70	1.90
12006	მანჩესტერი-ევერტონი	1.90	1.70
12008	ბოლტონი-ჩელსი	1.60	2.00
12374	ალკმაარი-ლიბერეცი	2.00	1.60
12375	ბეშიქთაში-ბრიუგე	1.70	1.90
12376	დინამო(ბქ)-ლევერკუზენი	1.70	1.90
12377	გრასჰოპერი-სევილია	1.70	1.90
12378	ლანსი-პარმა	1.60	2.00
12379	ლივორნო-მაკაბი ჰ	1.60	2.00
12380	ოსასუნა-ოდენსე	1.90	1.70
12381	პარტიზანი-ოსერი	1.60	2.00
12382	აიაქსი-ესპანიოლი	1.70	1.90
12383	აუსტრია-სპარტა(პ)	1.70	1.90
12384	სელტა-ფენერბაჰჩე	1.60	2.00
12385	აინტრახტი-ნიუკასლი	1.70	1.90
12386	ბოლესლავი-პსუ	1.60	2.00
12387	ნანსი-ფეიენოორდი	1.60	2.00
12388	პანათინაიკოსი-რაპიდი(ბ)	1.70	1.90
12389	ვისლა-ბაზელი	1.70	1.90

გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

		კი	არა
13002	ასტონ ვილა-სიტი	1.70	1.90
13003	ფულემი-არსენალი	1.90	1.70
13005	ლივერპული-პორტსმუთი	1.90	1.70
13006	მანჩესტერი-ევერტონი	1.90	1.70
13008	ბოლტონი-ჩელსი	1.70	1.90
13374	ალკმაარი-ლიბერეცი	1.90	1.70
13375	ბეშიქთაში-ბრიუგე	1.70	1.90
13376	დინამო(ბქ)-ლევერკუზენი	1.70	1.90
13377	გრასჰოპერი-სევილია	1.70	1.90
13378	ლანსი-პარმა	1.90	1.70
13379	ლივორნო-მაკაბი ჰ	1.70	1.90
13380	ოსასუნა-ოდენსე	1.90	1.70
13381	პარტიზანი-ოსერი	1.70	1.90
13382	აიაქსი-ესპანიოლი	1.70	1.90
13383	აუსტრია-სპარტა(პ)	1.70	1.90
13384	სელტა-ფენერბაჰჩე	1.70	1.90
13385	აინტრახტი-ნიუკასლი	1.70	1.90
13386	ბოლესლავი-პსუ	1.70	1.90
13387	ნანსი-ფეიენოორდი	1.70	1.90
13388	პანათინაიკოსი-რაპიდი(ბ)	1.70	1.90
13389	ვისლა-ბაზელი	1.70	1.90

რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე შანსი დაბეჯულად ჩაითვლება)

14002	ასტონ ვილა-სიტი	1.60	2.30
14003	ფულემი-არსენალი	2.40	1.40
14005	ლივერპული-პორტსმუთი	1.30	2.50
14006	მანჩესტერი-ევერტონი	1.08	2.90
14008	ბოლტონი-ჩელსი	2.40	1.40
14374	ალკმაარი-ლიბერეცი	1.20	2.60
14375	ბეშიქთაში-ბრიუგე	1.60	2.30
14376	დინამო(ბქ)-ლევერკუზენი	1.80	2.00
14377	გრასჰოპერი-სევილია	2.40	1.45
14378	ლანსი-პარმა	1.30	2.50
14379	ლივორნო-მაკაბი ჰ	1.40	2.40
14380	ოსასუნა-ოდენსე	1.20	2.60
14381	პარტიზანი-ოსერი	1.80	2.00
14382	აიაქსი-ესპანიოლი	1.40	2.40
14383	აუსტრია-სპარტა(პ)	1.80	2.00
14384	სელტა-ფენერბაჰჩე	1.60	2.30
14385	აინტრახტი-ნიუკასლი	1.40	2.40
14386	ბოლესლავი-პსუ	1.80	1.90
14387	ნანსი-ფეიენოორდი	1.65	2.20
14388	პანათინაიკოსი-რაპიდი(ბ)	1.40	2.40
14389	ვისლა-ბაზელი	1.80	2.00

რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

		I-ში	თანაბრად	II-ში
15002	ასტონ ვილა-სიტი	3.00	2.80	2.00
15003	ფულემი-არსენალი	3.00	2.80	2.00
15005	ლივერპული-პორტსმუთი	3.00	2.80	2.00
15006	მანჩესტერი-ევერტონი	3.00	2.80	2.00
15008	ბოლტონი-ჩელსი	3.00	2.80	2.00
15374	ალკმაარი-ლიბერეცი	3.00	2.80	2.00
15375	ბეშიქთაში-ბრიუგე	3.00	2.80	2.00
15376	დინამო(ბქ)-ლევერკუზენი	3.00	2.80	2.00
15377	გრასჰოპერი-სევილია	3.00	2.80	2.00
15378	ლანსი-პარმა	3.00	2.80	2.00
15379	ლივორნო-მაკაბი ჰ	3.00	2.80	2.00
15380	ოსასუნა-ოდენსე	3.00	2.80	2.00
15381	პარტიზანი-ოსერი	3.00	2.80	2.00
15382	აიაქსი-ესპანიოლი	3.00	2.80	2.00
15383	აუსტრია-სპარტა(პ)	3.00	2.80	2.00
15384	სელტა-ფენერბაჰჩე	3.00	2.80	2.00
15385	აინტრახტი-ნიუკასლი	3.00	2.80	2.00
15386	ბოლესლავი-პსუ	3.00	2.80	2.00
15387	ნანსი-ფეიენოორდი	3.00	2.80	2.00
15388	პანათინაიკოსი-რაპიდი(ბ)	3.00	2.80	2.00
15389	ვისლა-ბაზელი	3.00	2.80	2.00

ფრეს გარეშე (ძირ დრო)

16002	ასტონ ვილა-სიტი	1.28	3.20
16003	ფულემი-არსენალი	4.00	1.20
16005	ლივერპული-პორტსმუთი	1.11	5.30
16006	მანჩესტერი-ევერტონი	1.08	6.30
16008	ბოლტონი-ჩელსი	3.30	1.22
16374	ალკმაარი-ლიბერეცი	1.13	4.50
16375	ბეშიქთაში-ბრიუგე	1.40	2.40
16376	დინამო(ბქ)-ლევერკუზენი	1.60	2.00
16377	გრასჰოპერი-სევილია	3.10	1.25
16378	ლანსი-პარმა	1.13	4.50
16379	ლივორნო-მაკაბი ჰ	1.32	3.00
16380	ოსასუნა-ოდენსე	1.17	3.80
16381	პარტიზანი-ოსერი	1.60	2.00
16382	აიაქსი-ესპანიოლი	1.30	2.80
16383	აუსტრია-სპარტა(პ)	1.60	2.00
16384	სელტა-ფენერბაჰჩე	1.35	2.60
16385	აინტრახტი-ნიუკასლი	1.30	2.90
16386	ბოლესლავი-პსუ	1.60	1.90
16387	ნანსი-ფეიენოორდი	1.42	2.40
16388	პანათინაიკოსი-რაპიდი(ბ)	1.22	3.40
16389	ვისლა-ბაზელი	1.60	2.00

გოლი:წყვილი-10უ კენტი-2. (0:0 ითვლება წყვილად)

17002	ასტონ ვილა-სიტი	1.85	1.95
17003	ფულემი-არსენალი	1.85	1.95
17005	ლივერპული-პორტსმუთი	1.85	1.95
17006	მანჩესტერი-ევერტონი	1.85	1.95
17008	ბოლტონი-ჩელსი	1.85	1.95
17374	ალკმაარი-ლიბერეცი	1.85	1.95
17375	ბეშიქთაში-ბრიუგე	1.85	1.95
17376	დინამო(ბქ)-ლევერკუზენი	1.85	1.95
17377	გრასჰოპერი-სევილია	1.85	1.95
17378	ლანსი-პარმა	1.85	1.95
17379	ლივორნო-მაკაბი ჰ	1.85	1.95
17380	ოსასუნა-ოდენსე	1.85	1.95
17381	პარტიზანი-ოსერი	1.85	1.95
17382	აიაქსი-ესპანიოლი	1.85	1.95
17383	აუსტრია-სპარტა(პ)	1.85	1.95
17384	სელტა-ფენერბაჰჩე	1.85	1.95
17385	აინტრახტი-ნიუკასლი	1.85	1.95
17386	ბოლესლავი-პსუ	1.85	1.95
17387	ნანსი-ფეიენოორდი	1.85	1.95
17388	პანათინაიკოსი-რაპიდი(ბ)	1.85	1.95
17389	ვისლა-ბაზელი	1.85	1.95

ომიდია თუ კომედია?

ათანელიშვილს ირანში დინამო მოენატრა

შარშანდელთან შედარებით ქართველ ლეგიონერთა რიცხვი ირანში საგრძნობლად შემცირდა — თუკი ადრე იქ ათამდე ჩვენიანი თამაშობდა, ახლა სპარსეთში თითოოროლა ქართველიღაა. ახალგაზრდული ნაკრების წევრმა რევაზ ათანელიშვილმა ეს სეზონი „დინამოში" დაიწყო, თუმც რამდენიმე ტურის შემდეგ ირანში წავიდა და პირველი ლიგის „ომიდიაში" მოეწყო, სადაც შარშანდელიდან მოყოლებული თამაშობს ბუბა კვიმსაძე. შაბათს ათანელიშვილი სპორტის სასახლეში ვნახეთ და ცხადია, ირანული ამბები გამოვკითხეთ

გუშინ დილისგან ფოტო

— პირველი წრე დასრულდა და წამოვედი. რამდენიმე დღე გავჩერდები და ისევ ირანში დაბრუნდები.

— როგორ მოხვდი ირანის ჩემპიონატში, თავდაპირველად ვინ დაგაკავშირა „ომიდიასთან"?

— ჩემი მონაცემები ირანელებმა იცოდნენ და პირდაპირ „ომიდიას" მენეჯერი დამიკავშირდა. მან მითხრა, რომ თუ 3 დღეში ჩავიდოდი, გუნდში ამიყვანდნენ, არადა, სხვა ჰყავდათ შეგულებული. ომიდიელებს თეირანში ჰქონდათ თამაში და პირდაპირ ირანის დედაქალაქში უნდა ჩავსულიყავი. ბევრი არ მიფიქრია, ვიზა გავაკეთე და წავედი.

— და პირდაპირ ითამაშე?

— არა, თეირანში გუნდს შევუერთდი და ომიდიაში რომ დავბრუნდი, კონტრაქტიც მერე გავაფორმე.

— „ომიდიაზე" რას იტყვი, როგორი გუნდია?

— პირველ ლიგაში ერთ-ერთი საუკეთესოა და სუპერლიგაში გადასასვლელად ვიბრძვით. გასულ სეზონში ომიდიელები მე-5 ადგილზე გავიდნენ, თუმც მერე სუპერლიგის გუნდებიდან 4 მოთამაშე შეიმატეს და ახლა ელიტაში აღზევების ამბიციები აქვთ. ახლა მეორე-მესამე ადგილს ვიყოფთ ერთ-ერთ კონკურენტთან და წარმატების იმედი გვაქვს.

— პირველ ლიგაში ლეგიონერები ბლომად არიან?

— არა, მე და კვიმსაძის გარდა კიდევ რამდენიმე სერბი და ამერიკელია.

— შენს თამაშზე რას იტყვი?

— უკმაყოფილო არც გუნდია და არც მე. ომიდიელებს ძირითადად მოხსნების გამო ვუნდოდით და მე პირველივე მატჩში 17 ბურთი მოვხსენი. საშუალოდ ორმაგი დუბლი მაქვს იმ 8 თამაშში, რაც „ომიდიაში" ჩავატარე.

— ჩემპიონატი როდის განახლდება?

— ერთ კვირაში. თუმც სიმართლე გითხრა, არ მინდა დაბრუნება. ირანში ცხოვრებას ალღო ვერ ავუღე, ძალიან მკაცრი წესები აქვთ, გართობა ფაქტობრივად აკრძალულია. ომიდია ირანის უკიდურესი სამხრეთით მდებარეობს, ზეიერაყის საზღვართან. იქ განსაკუთრებული სიცხეა და როგორ გინდა გაძლო, როცა მოკლემკლავებიანი მაისურას ჩაცმაც კი აკრძალულია, არათუ შორტების. ქალაქში რომ გამოხვალ, აუცილებლად გრძელტოტებიანი უნდა გეცვას შარვალიცა და მაისურაც. ძალიან მიჭირს იქაურ ცხოვრების წესებთან შეგუება და თუ იქნებ, არც დავბრუნდე.

— მაშ, რას იზამ?

— დღეს ველაპარაკე „დინამოს" ხელმძღვანელობას და თანახმანი არიან, რომ დავბრუნდე. ვნახოთ, რა იქნება — სეზონის ბოლომდე, თებერვლამდე მაკავშირებს ომიდიელებთან კონტრაქტი, მაგრამ რაღაც პუნქტები დაარღვიეს და ეგებ გავწყვიტო მათთან კავშირი.

ირაკლი პერტაია

NBA რეგულარული ჩემპიონატი

აივერსონი მაიამელებს დაერია

27 ნოემბერი

მაიამი 103:91 ფილადელფია

მაიამი: ვეიდი (33 ქულა, 13 პასი, 7 მოხსნა), ჰასლემი (18 ქულა, 10 მოხსნა), მურნინგი (14)

ფილადელფია: აივერსონი (45)

გ. სტეიტი 111:102 სან ანტონიო

გოლდენ სტეიტი: რიჩარდსონი (26), დანლივი (20), ელისი (19), ბიედრინსი (18 ქულა, 15 მოხსნა, 6 დაფარება)

სან ანტონიო: პარკერი (28), დანკანი (22 ქულა, 16 მოხსნა, 6 დაფარება)

დალასი 93:87 მინესოტა

დალასი: ჰოვარდი (15), ნოვიცკი (15), დამპიე (12 ქულა, 11 მოხსნა)

მინესოტა: გარნეტი (19 ქულა, 12 მოხსნა), ბლუნტი (18), ფოი (17)

იუტა 75:88 ორლანდო

იუტა: ბუზერი (21), ოქური (13), კირილენკო (11)

ორლანდო: ჰოვარდი (21 ქულა, 16 მოხსნა), ჰილი (16), ნელსონი (15)

ეს კაცი არ ბერდება. ალენ აივერსონი სწორედ მაშინ სთავაზობს ხალხს სიურპრიზებს, როდესაც ყველას ამოცნობილი და არსენალდაცლილი ჰგონია. „ფილადელფია სიქსერზის" 31 წლის 183-სანტიმეტრიანმა ლიდერმა ჩემპიონ "მაიამი ჰიოთს" 45 ქულა ჩაუგდო და მიუხედავად იმისა, რომ თავისი მჭლე გუნდი მაინც ვერ აარიდა მარცხს, ქვეყანა თავისი ნიჭის უცვეთობაზე აალაპარაკა. მაიამელები კიდევ კმაყოფილები დარჩნენ, ეს მოუხელთებელი ჭინკა 45 ქულას რომ დაავჯერეს. აივერსონმა მთელი წლის უთამაშებელივით და ბურთს დანატრებულივით დაიწყო, პირველ მეოთხედში 16 ქულა გააკეთა და არც მერე განელებია ჩემპიონთა კალათის ამოვსების სურვილი. „ფილადელფიამაც" საწყისი 12-წუთიანი 31:25 მოიგო და „მაიამიმ" კიდევ ერთი წაგების საფრხეს ჩახედა თვალებში. რა და ვინ არ სცადეს აივერსონის წინააღმდეგ მაიამელებმა, ხუთი უკანახაზელი გამოიყენეს. მათმა მწვრთნელმა პატ რაილიმ 208-სანტიმეტრიანი და 130-კილოგრამიანი ცენტრი ალონზო მურნინგიც კი დაგეშა „სიქსერზის" მოუხელთებელი ლიდერის შესაკავებლად. მართალია, მურნინგმა 3-ჯერ დაუფარა აივერსონს, მაგრამ არც ის დარჩა ვალში. რამდენიმე ბურთი იღლიის ქვემოდანაც ჩაუგდო და საკუთარი გულშემატკივრების თვალწინ შეარცხვინა.

„ჰითის" კალათბურთელები ხომ აიკლო აივერსონმა და მაიამელ მაყურებელსაც „გადასწვდა" — ერთ ეპიზოდში ფარქვეშიდან პერიმეტრზე ამოსული მურნინგის ტორებს რომ გაურბოდა, უკან ისკუპა და ასე ისროლა — ის სამქულიანი ჩააგდო და წინა რიგში ერთ მშვიდობიან მაყურებელს დაეცა.

მაგრამ აივერსონის აკრობატობების მიუხედავად, „ფილადელფიამ" პირველი მეოთხედის მოგების შემდეგ თანდათან დაკარგა უპირატესობა და დუეინ ვეიდის დირიჟორობით ჩემპიონის საკადრისად ათამაშებულ „მაიამის" მოგება დაუთმო.

იმარჯვა ვიცე-ჩემპიონმა „დალასმაც", რომელიც ჩემპიონისგან განსხვავებით, ყველა თამაშს სტაბილურად კარგად ატარებს და სეზონის საწყისი 4 მატჩის წაგების შემდეგ ზედიზედ მე-10 მოიგო.

სამაგიეროდ, მოულოდნელად წააგეს დასავლეთის ლიდერებმა — „სან ანტონიომ" და „იუტამ". პირველს „გოლდენ სტეიტმა" მოუგო, რომელსაც ლიდერი ბაირონ დევისი ტრადიციულად დამტვრეული ჰყავს, მაგრამ სხვები თამაშობენ ზღაპრულად, განსაკუთრებით კი ახალგაზრდა ლატვიელი ცენტრი ანდრის ბიედრინსი.

კოტე ყორღია



AFP მაიამიდან

ალენ აივერსონმა „მაიამის" 45 ქულა უთავაზა

კვირის მოთამაშეები

აღმოსავლეთი

დუაიტ ჰოვარდი (ორლანდო)



დასავლეთი

კარმელო ენტონი (დენვერი)



ნბა-მ გასული კვირის საუკეთესო მოთამაშეებად ორლანდოელი დუაიტ ჰოვარდი და დენვერელი კარმელო ენტონი დაასახელა.

ჰოვარდის „ორლანდო მეჯიქი" ყველას გასაოცრად აღმოსავლეთ კონფერენციაში რომ ლიდერობს, ეს დიდწილად ამ 211-სანტიმეტრიანი მესამეწლიანი მეფარის დამსახურებაა. ჰოვარდი ქულებს აურაცხელ ოდენობით ვერ იხვეჭს, მაგრამ მოხსნებში კი მთელ ლიგაში საუკეთესოა. გასული კვირის 4 შეხვედრაში მან საშუალოდ 18,5 ქულასთან ერთად 14,3 მოხსნაც აკეთა, რისი წყალობითაც ნბა-ს მანამდელ უყოჩაღეს მომხსნელს, იუტელ კარლოს ბუზერს გადაასწრო. „ორლანდომაც" ოთხი შეხვედრიდან სამი სამი მოიგო. იმ ერთ წაგებულში კვირის ლაურეატმა თავისი საქმე მაინც გადასარევად შეასრულა — 24 ქულა და 23 მოხსნა.

დასავლეთში კი სწორი არ ჰყავდა „დენვერ ნაგიტსის" 203-სანტიმეტრიან მსუბუქ ფორვარდ კარმელო ენტონის, რომელიც მანამდეც ბომბარდირობდა ლიგას ქულებში და ამ კვირის შემდეგ პირველობა უფრო განიმტკიცა. ენტონიმ 4 თამაშში საშუალოდ 31,3 ქულა, 5,3 პასი და 4,8 მოხსნა აგროვა და „დენვერს" ოთხივე მატჩი მოაგებინა.

კვირის სიმბოლური ხუთეული: ჩონსი ბილაფსი (დეტროიტი), კევინ მარტინი (საკრამენტო), კარმელო ენტონი (დენვერი), დირკ ნოვიცკი (დალასი), დუაიტ ჰოვარდი (ორლანდო)

ოლიმპიური სიმშვიდე დაირღვა

მარკოიშვილი არ აჯანყებულა

„ოლიმპიაში“ დაძაბულობამ პიკს უწია — უხელფასობისგან შეწუხებულმა მოთამაშეებმა კლუბის ხელმძღვანელობას ულტიმატუმი წაუყენეს: „მაკაბისთან“ საევროლიგო მატჩის მერე ხელფასს თუ არ გადაგვიხდით, აღარ ვითამაშებთო. მოჯანყე ოთხია, მაგრამ ისინი მთელი გუნდის სათქმელს გამოხატავენ. მანუჩარ მარკოიშვილს ულტიმატუმი არ წამოუყენებია, თუმც ოთხეულს სოლიდარობას უცხადებს...

— სპონსორი ჯერაც არ გამოჩენილა და გუნდის წევრებმა გადაწყვიტეს, „ოლიმპიას“ ხელმძღვანელობას ულტიმატუმი წაუყენონ. თუ „მაკაბისთან“ მატჩის შემდეგ მინიმუმ ერთი თვის ხელფასს არ დაარიგებენ, რამდენიმე წამყვანი მოთამაშე აღარ ითამაშებს.

— „ოლიმპიას“ წამყვანი მოთამაშე შენც ხარ...

— მხოლოდ ოთხი, თანაც ყველაზე გამოცდილი მოთამაშე გაიფიცა. მიუხედავად იმისა, რომ უხელფასობით ყველა ძალიან გატანჯულია, რადიკალური ზომებისთვის არ მიგვიმართავს და მხოლოდ ნაწილმა წამოაყენა ულტიმატუმი. თუკი განაცხადში მოთამაშეთა გარკვეული ოდენობა არაა, კლუბს სანქციები ეკისრება და დიდი შანსია, ლიცენზია ჩამოართვან. ამიტომაც მხოლოდ ნაწილმა წაუყენა ხელმძღვანელობას მოთხოვნები და თუკი ხელფასებს დაარიგებენ, იმედია, მხოლოდ იმ ოთხს კი არა, მთელ გუნდს დააკმაყოფილებენ.

— ვინაა ეს 4 მოთამაშე?

— მარკო მილიჩი, ივიცა იურკოვიჩი, ტეემუ რანიკო, ერდენ არსლანი. ესენი არიან „ოლიმპიას“ ყველაზე გამოცდილი მოთამაშეები და ულტიმატუმის წაყენებაც მათ აიღეს საკუთარ თავზე.

— სპონსორთან დაკავშირებით რა ისმის?

— დღესაა არჩევნები, სადაც გუნდის ახალი მესაკუთრე უნდა გამოვლინდეს. თუმც, რა მნიშვნელობა აქვს, ვინ იქნება მესაკუთრე, თუ ფული არ იქნება. შეკრებაზე გუნდის ყველა მოთამაშე უნდა მივსულიყავით, მაგრამ მხოლოდ მარკო მილიჩი მიდის, რომელიც მთელი მოთამაშეების ხმებს ფლობს. ფირმები წარმოადგენენ საკუთარ გეგმას, რითაც გუნდის კრიზისიდან გამოყვანას აპირებენ და ვინც მეტ ხმას მიიღებს, „ოლიმპიას“ მთავარი სპონსორიც ის გახდება. ვნახოთ, რა იქნება, ჯერ არაფერია გარკვეული.

ირაკლი პერტაია

ჯეიმს კუტო



ვინჩენცა სიკარი

კუტომ კუდში არავინ დაიყენა

სეზონის მიწურულს გრძელ დისტანციებზე სირბილის მოყვარულმა მძლეოსნებმა, გასულ უქმეებზე კიდევ რამდენიმე მარათონი, ნახევარმარათონი თუ კროსი ჩაირბინეს და ამათგან ყველაზე წარმომადგენლობითი და გამოსაყოფი იტალიაში, კერძოდ კი ფლორენციაში ჩატარებული მარათონი იყო და ჩვენც მასზე გავამახვილოთ ყურადღება.

იქ, სადაც კენიელი კაცები დარბიან, კითხვის დასმა, თუ ვინ მიიგებს მარათონს, ალბათ, აღარც არის საჭირო. ეს კითხვა მხოლოდ მაშინ თუ გაჩნდება, კენიელების გვერდით, ვთქვათ, დიდი ეთიოპიელი ჰაილე გაბრესილასიე და კიდევ ერთი-ორი გამორჩეული სტაიერი თუ არის. ფლორენციაში არც ჰაილე ყოფილა, არც ის ერთი-ორი მორბენალი და პირველობა, ბუნებრივია, კენიელმა მოიპოვა.

ეს კენიელი ჯეიმს კუტო გახლავთ, რომელმაც უზარმაზარი უპირატესობით აჯობა მეტოქეებს და უახლოესი მდევარი, იტალიელი ფრანჩესკო ინგარჯიოლა, 3 წუთითა და 37 წამით ჩამოიტოვა. კუტო და ინგარჯიოლა 25-ე კილომეტრამდე მხარდამხარ მირბოდნენ, მაგრამ მერე კენიელმა მაღალი გადაცემა ჩართო, ტემპს მოუმატა, შემდგომ 2 კილომეტრზე 10 წამით დაწინაურდა, 30-ე კილომეტრისთვის 24 წამს იგებდა და ამის შემდეგ სხვაობა უკვე კატასტროფული სიჩქარით იზრდებოდა.

კუტომ 42 კილომეტრისა და 195 მეტრის გარბენას 2 საათი, 8 წუთი და 41 წამი მოანდომა, რაც სეზონის ბოლოსთვის მშვენიერი შედეგია.

კუტო ფინიშის შემდეგ საპატიო კვარცხლბეკზე კენიელთაგან მარტო არ მდგარა — მესამე ადგილზე კენედი კიმელი კემეი გავიდა და, საერთოდაც, პირველ ხუთეულში ერთბაშად ოთხი კენიელი იყო.

აი, ქალთა შეჯიბრი კი, ფლორენციელი ქომაგების გასახარად, იტალიელმა ვინჩენცა სიკარიმ მოიგო და თანაც, მთლად კოშმარული უპირატესობით — თავად დისტანცია 2 საათში, 34 წუთსა და 52 წამში დაფარა და მეორე ადგილზე გასული თანამემამულე მონიკა კარლინი თითქმის 12 წუთით ჩამოიტოვა უკან, ხოლო მესამე პრიზიორს, ესტონელ სიგრიდ ვალდერს, სულაც 14 წუთი და 27 წამი მოუგო.

ფრანგები თბილისში მსუბუქად ჩამოვიდნენ

საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრები სამომავალწლო სამზადისს შეუდგა. ამ სეზონში შოთა ხაბარელის გუნდიდან საერთაშორისო ტატამზე საჭიდაო მხოლოდ მძიმეწონოსნებს დარჩათ. 9-10 დეკემბერს ბუქარესტში ევროპის აბსოლუტური ჩემპიონატი გაიმართება და მასზე ნაკრების თავკაცი ზვიად ხანჯალიაშვილს, ლაშა გუჯეჯიანსა და ადამ ოქრუაშვილს იახლებს. იქამდე ეს სამეული და საქართველოს ნაკრების შვიდივე წონითი კატეგორიის ყველა წევრი თუ კანდიდატი საფრანგეთის ნაკრებთან ერთად ათდღიან შეკრებას გაივლის.

„ფრანგები თბილისში 27 ნოემბერს ჩამოფრინდნენ და სასტუმრო „ბატესტაში“ დაბინავდნენ — გვითხრა საქართველოს ძიუდოს ფედერაციის აღმასრულებელმა მდივანმა *ზურაბ უსუფაშვილმა* — წინასწარი მოლაპარაკებით, ფრანგები თექვსმეტკაციანი დელეგაციით უნდა გვწვეოდნენ. შემადგენლობაც ადრევე გამოგვიგზავნეს. ყველა წონაში საუკეთესო ძიუდოისტები მოჰყავდათ. საქართველოში ჩამოფრენამდე რამდენიმე დღით ადრე დელეგაციას 2 კაცი გამოაკლდა, ჩამოსვლის წინა დღეს კი სულაც 11-კაციანი სია გამოგვიგზავნეს. სამწუხაროდ, წინასწარი შემადგენლობიდან 60, 100 და +100 კილოგრამიანები ამოწერეს. ასევე 90-კილოგრამიანი მსოფლიოს ჩემპიონი ფრედერიკ დემონფოკოც. დანარჩენ ოთხ წონაში კი მართლაც პირველი-მეორე ნომრები იახლეს. მათ შორის ევროპის პრიზიორები — ბენჟამენ დარბალეტი (66 კგ) და დანიელ ფერნანდესი (73კგ). ცნობისთვის, წლევანდელი ევროპის ჩემპიონატის ფინალში ზაზა კედელაშვილმა სწორედ დარბალეტს მოუგო“.

შეკრება ძიუდოს ფედერაციის თავდაპირველი გადაწყვეტილებით, ბორჯომში უნდა გამართულიყო, თუმცა გეგმა შეიცვალა და ქართულ-ფრანგულ ვარჯიშებს თბილისის სპორტის სამმართველოს დარბაზი უმასპინძლებს. გადაწყვეტილების შეცვლის ერთ-ერთი მიზეზი ისიც იყო, რომ ნაკრების კანდიდატებსაც მისცემოდათ ფრანგებთან ერთად ვარჯიშის შანსი.

შოთა ხაბარელი: „საფრანგეთს უძლიერესი ძიუდოისტები ჰყავს და მათ მხარდამხარ მზადება ბიჭებს აუცილებლად სასიკეთოდ წაადგებათ. ყველაზე მთავარი კი ისაა, რომ ამის შანსი ორმოცზე მეტ ჩვენებურს მიეცემა. კარგი იქნებოდა, მძიმეწონოსნებიც ჩამოსულიყვნენ. მით უმეტეს, რომ წინასწარ განაცხადში ისინიც იყვნენ შეყვანილნი. როგორც ჩანს, ევროპის ჩემპიონატისთვის ინდივიდუალური პროგრამით მომზადება გადაწყვიტეს“.

ერთობლივი შეკრება 8 დეკემბრამდე გასტანს.

ოთარ მაღლაკელიძე

რუსი მეფე თეთრმა რაშმა ჩამოაგდო

მსოფლიოს ჩემპიონის, რუსი ვლადიმირ კრამნიკისა და „დიპ ფრიცად“ წოდებული კომპიუტერის მეორე შეხვედრა 35-ე სვლაზე კომპიუტერის გამარჯვებით დასრულდა და მანქანა 1,5:0,5 დაწინაურდა. არადა, კრამნიკს ყურადღებით რომ ეთამაშა და ბოლოს უბრალო შეცდომა არ დაეშვა, ანგარიში საპირისპირო იქნებოდა.

პარტია „ფრიცმა“ ლაზიერის გამბიტით დაიწყო, მე-2 სვლაზე მეტოქეს პაიკი გაუცვალა და მარჯვენა ფლანგზე მსუბუქი ფიგურები გამოუშვა. კრამნიკი აქტიურად ჩაერთო თამაშში, ლაზიერის მხარეს პაიკები დაქოქა და კომპიუტერს შეუტია. უპირატესობას თანდათან რუსი დაეუფლა, დედოფლის ფლანგზე მანქანას მებრძოლი ფიგურები დაუხოცა და დიდი იერიშისთვის მოემზადა. 24-ე სვლაზე კომპიუტერმა სახიფათოდ დაარტყა კრამნიკს, ლაზიერი მეფის წინ დაუსვა და ქიში გამოუცხადა. მოჭადრაკემ დროზე მოასწრო რეაგირება, მეტოქის მეომარი უკან გააბრუნა და დიდი შეტევა წამოიწყო. დიდოსტატმა მთავარი შეცდომაც აქ დაუშვა, ყურადღება ლაზიერის ფლანგზე გადაიტანა და ხელმწიფის მხარეს ეულად დარჩენილი მხედარი გამორჩა. 33-ე სვლაზე თეთრი ცხენი შავ ხელმწიფეს მიუცუცქდა, კრამნიკმა ეს სახიფათოდ არ ჩათვალა, კვლავ არასწორად ითამაშა და მომდევნო სვლაზე ლაზიერით შამათი მიიღო.

„ზუსტად ვერ გეტყვით, რა მომივიდა, მაგრამ მეგონა, რომ კარგად ვთამაშობდი — განაცხადა კრამნიკმა პარტიის შემდეგ — ეს შეხვედრა არ უნდა წამეგო, ყაიმს თავისუფლად მივაღწევდი“.

ლაშა გეგეჭკორი



34-ე სვლაზე ვლადიმირ კრამნიკმა ლაზიერი e3 უჯრაზე დასვა და მომდევნო სვლაზე შამათი მიიღო

მსოფლიოს ჩემპიონატი. კაცები
იაპონია. 17 ნოემბერი — 3 დეკემბერი

პოლონელი მიხალ ვინიარსკი რუსების ბლოკს ანგრევს

რუსეთი სლავურ მატარებელს მოწყდა
პოლონეთი, სერბეთი, ბულგარეთი და...

E ჯგუფი	F ჯგუფი
პუერტო რიკო 3:0 კანადა	ბრაზილია 3:0 იტალია
25:22 25:21 25:16	25:23 25:20 25:20
არგენტინა 3:2 ტუნისი	ბულგარეთი 3:2 საფრანგეთი
25:20 25:27 21:25 25:21 15:12	23:25 22:25 25:22 25:22 15:10
სერბეთი 3:0 იაპონია	აშშ 3:2 გერმანია
28:26 25:16 25:21	30:28 15:25 24:26 26:24 15:13
პოლონეთი 3:2 რუსეთი	კუბა 3:1 ჩეხეთი
19:25 19:25 25:22 25:20 15:11	31:29 26:24 24:26 26:24
სერბეთი 12 ქულა; პოლონეთი 12; რუსეთი 10; იაპონია 10; პუერტო რიკო & არგენტინა 7; კანადა 7; ტუნისი 6	*ბულგარეთი 12 ქულა; ბრაზილია 11; იტალია 10; საფრანგეთი 10; გერმანია & აშშ & კუბა 7; ჩეხეთი 6*

გუშინდელი და ალბათ ჩემპიონატის უმთავრესი სენსაციით დავიწყოთ — ნახევარფინალები ერთ-ერთ უმთავრეს ფავორიტად შერაცხული რუსეთის გარეშე ჩაივლის. ჩვენი ჩრდილოელი მეზობლები იაპონიაში დიდი ამბიციებითა და მიზნებით გაემგზავრნენ, მაგრამ მეორე ჯგუფურ ეტაპს ვერ გასცდნენ, რაც მათი „მომძე" სლავების — სერბებისა და პოლონელების დამსახურებაა.

რუსები ბალკანელებთან ჩემპიონატის გახსნით შეხვედრაში დამარცხდნენ და უკვე მაშინვე ცხადი გახდა, რომ ეს წაგება მწარედ მოსაგონარი გაუხდებოდათ. თუმც მას შემდეგ რუსებმა უბრალოდ იფრინეს და გუშინდლამდე სეტწაუგებლად მივიდნენ — წინ კი მხოლოდ პოლონური ბარიერი ეღობებოდათ, რომლის დაძლევის შემთხვევაშიც საუკეთესო ოთხ ნაკრებს შორის მოხვდებოდნენ.

ჰოდა, რუსებმა თავიდან მაგრად შეუტიეს მეტოქეს და საბრალო პოლონელებს გადაუარეს კიდეც. მშვენივრად ირჯებოდნენ სიომინ პოლტავსკი და პაველ აბრამოვი. ამას რუსული ბლოკის დიდებული თამაში დაერთო, რომლის საშუალებითაც მეტოქის ლიდერები განეიტრალეს და შედეგად პირველ ორ სეტში პოლონელები სასტიკად განადგურდნენ.

აქ, როგორც ჩანს, რუსებმა ნაადრევად ირწმუნეს საკუთარი წარმატება და მოეშვნენ. თანაც პოლონელები დანებებას სულაც არ გეგმავდნენ — მათმა არგენტინელმა დამრიგებელმა რაულ ლოზანომ მოედანზე აყლაყუდა პეტრ გრუშა შეუშვა, რომელიც თანაგუნდელებს დაცვაში კარგად დაეხმარა. საკუთარი თამაში მოძებნეს გრეგორუ ჟიმანსკიმ (16 ქულა) და ლუკაშ კაძევიჩმა (16 ქულა) და ... სასწაულიც დაიწყო. მესამე სეტში პოლონელებმა ყველაფერი ჩადეს, ორჯერ აღმოფხვრეს სამქულიანი ჩამორჩენა და მაინც იმარჯვეს. მეოთხე პარტიაში რუსები თავიდანვე გატყდნენ. აი, ტაი ბრეიკზე კი პოლონელებს უდავო ფსიქოლოგიური უპირატესობა ჰქონდათ, რომლის არგამოყენება საცოდაობა იქნებოდა — 15:11 და სასწაულიც შედგა. პოლონელები ნახევარფინალის სათამაშოდ ტოკიოში წავლენ, რუსები კი სამშობლოში დაბრუნდებიან.

ჯგუფის მეორე იღბლიანები პოლონელთა დარად უძლეველი სერბები არიან, რომლებმაც მოლოდინისამებრ უადვილესად გადაურეს იაპონიას. პირველ-მეორე ადგილს კი ეს ორი ნაკრები ერთმანეთში ბოლო ტურში გაარკვევს.

არანაკლები აშბები ხდებოდა მეორე, F ჯგუფშიც. ერთი ნახევარფინალისტის ვინაობა აქაც გაირკვა და წინა ორის მსგავსად ესეც სლავური ნაკრებია — ბულგარეთი, რომელიც, როგორც სერბეთ-პოლონეთის წყვილი, იაპონიაში ჯერაც უძლეველია.

ბულგარელებმა ნახევარფინალის საგზური ფრანგებთან შეხვედრაში გაინაღდეს, სადაც პოლონელთა მსგავსი გმირობა ჩაიდინეს და საწყისი ორი სეტის წაგების მიუხედავად, მაინც დასცეს გალები. სლავებმა ეს ძირითადად გუნდური თამაშით მოახერხეს — ერთობაშად ოთხმა ბულგარელმა მოიხვეჭა 10 ქულაზე მეტი, რომელთა შორის განსაკუთრებით მატეი კაზისკი (20 ქულა) და პლამენ კონტსანტინოვი (17 ქულა) გამოირჩნენ. ფრანგთა შორის კი მხოლოდ ფრანც გრანვორკამ (26 ქულა) ითამაშა, რაც წარმატებისთვის საკმარისი არ აღმოჩნდა. ამ წაგებით ფრანგებმა საბოლოოდ ნახევარფინალო შანსებს თითქმის ხაზი გადაუსვეს.

რუსების შეცდომები არ გაიმეორეს ჩემპიონატის სხვა ფავორიტებმა — ბრაზილიელებმა 3:0 დაჯაბნეს ძველი მეტოქე იტალია და ცალი ფეხით ნახევარფინალში შეაბიჯეს. სამხრეთამერიკელებმა ძირითადად ბლოკის საიმედო თამაშის წყალობით იხერეს, რითაც ამოკეტეს „აძურის" ლიდერები. ხოლო ვინაიდან ჟიბამ (18 ქულა) და ანდრემ (12 ქულა) ჩვეულად ითამაშეს, ევროპელებს შანსიც აღარ ჰქონიათ.

ბრაზილიელებს უკვე ყველაფერი ხელთ უპყრიათ და ბოლო ტურში უმოტივაციო ბულგარელების დამარცხებით საუკეთესო ოთხ ნაკრებში მოხვედრას მოახერხებენ. ეგ კი არა, ალბათ წაგების შემთხვევაშიც შეძლებენ ნახევარფინალში გასვლას, რადგანაც იტალიელებზე და ფრანგებზე უკეთესი სტატისტიკა აქვთ.

ძახა ლომაია

რეგულარული ჩემპიონატი

27 ნოემბერი

დეტროიტი 2:1 დალასი

0:0 0:1 2:0

0:1 მიეტინენი (17), 1:1 დრაიპერი (43), 2:1 შნაიდერი (53)

ლოს ანჯელესი 3:2 ნიუ ჯერსი

0:0 2:2 0:0 0:0 (1:0 ბულიტები)

0:1 ჯიონტა (21), 1:1 ვიშნოვსკი (26), 1:2 ზაიაკი (34), 2:2 კამალერი (38)

იონი წავიდა, სავარი მოვიდა
ქორები ძველ ვარსკვლავს ჩააბარეს

ორშაბათს „ჩიკაგო ბლეკ ჰოქსის" გენერალურმა მენეჯერმა დევინ ტოლონმა მწვრთნელი ტრენტ იონი დაითხოვა და მის ნაცვლად დენ სავარი წარუდგინა საზოგადოებას.

იონის ხელმძღვანელობით „ქორებმა" 103 მატჩში მხოლოდ 33 მოიგეს, მაგრამ მწვრთნელის გაშვების მიზეზი, ჰოკეის ჩრდილოამერიკელი სპეციალისტების აზრით, მარტო ეს არ ყოფილა — იონის ხელში „ჩიკაგო" უაღრესად დაცვაზე ორიენტირებულ ჰოკეის თამაშობდა და გუნდის ბოსებს არც ეს მოსდიოდათ თვალში, რადგანაც უსახური ჰოკეის მქადაგებელ „ქორებს" ნელ-ნელა ქომაგები აკლდებოდათ.

ახლა თამაშისა და საქმის გამოსწორება დენ სავარს მოუწევს, ვინც თავის დროზე ფრიად ცნობილი ჰოკეისტი იყო და სხვადასხვა წლებში „ჩიკაგოს", „მონრეალისა" და „ტომპას" ღირსებას იცავდა. 17-წლიანი კარიერის მანძილზე სავარმა 1196 მატჩში 1338 (473+865) ქულა დააგროვა, კარიერა 1997 წელს დასრულა და 2000 წელს კი ჰოკეის დიდების დარბაზში შეიყვანეს.

44 წლის სავარს მწვრთნელად დამოუკიდებელი მუშაობის გამოცდილება არა აქვს, მაგრამ 9 წელია „ქორების" სამწვრთნელო შტაბში ირიცხება და ჩიკაგოელთა თავკაცები იმედოვნებენ, რომ ახლო წარსულის სახელგანთქმული მოთამაშე მწვრთნელის რანგშიც ივარგებს და ფსკერისკენ მიმავალ გუნდს სწორ გზაზე დააყენებს.

იონი კი ამ სეზონში უკვე მესამე დათხოვნილი მწვრთნელია. მანამდე ფილადელფიიდან კენ ჰინკოკი გააგდეს, ხოლო კოლუმბუსიდან — ჟერარ გალანტი.



ტრენტ იონის ადგილი დენ სავარმა დაიკავა

სენ ლუი, სელიანე და სმიტი

გასული კვირის საუკეთესო მოთამაშეებად, ანუ შესაბამისად, პირველ, მეორე და მესამე ვარსკვლავებად ტამპელი მარტინ სენ ლუი, ანაჰაიმელი ტეემუ სელიანე და დალასელი მაიკ სმიტი დასახელდნენ.

აღნიშნულ პერიოდში სენ ლუიმ 9(4+5) ქულა დააგროვა, მისმა „ტამპამ" კი ზედიზედ ოთხი მატჩი მოიგო — ბუფალოსთან (7:2), ფლორიდასთან (6:4), ატლანტასთან (3:2) და ოტავასთან (3:1). სულ 24 მატჩში, „ელვების" მოიერიშის ანგარიშზე 30(15+15) ქულაა.

ვეტერანი ტეემუ სელიანე ამ სეზონში ძველებური ბრწყინვალებით თამაშობს და დასავლეთის სათავეში მყოფი ანაჰაიმელი „მძლავრი იხვების" ერთ-ერთი ლიდერია. გასულ კვირაში ფინელმა ბომბარდირმა 5 გოლი გაიტანა და გახდა ლიგის ისტორიაში 36-ე მოთამაშე, ვისაც რეგულარულ ჩემპიონატებში 500 და მეტი შაიბა გაუტანია.

რაც შეეხება მაიკ სმიტს, ის „დალასის" სათადარიგო მეკარეა, მაგრამ გასულ კვირაში სამი მატჩი ჩაატარა და ამ შეჯვედრებში, საშუალოდ, ოდენ 1,73 გოლს უშვებდა.

მარტინ სენ ლუი

იან ულრიხიც იანვარს ელის

შვეიცარიის ველოსპორტის ფედერაციამ გააკეთა განცხადება იმის შესახებ, რომ იანვარში დაიწყებს დისციპლინარულ მოსმენას იმის თაობაზე, იყო თუ არა გერმანელი ველოსიპედისტი იან ულრიხი დაკავშირებული ესპანელი ექიმის ეუფემიანო ფუენტესის ირგვლივ ატეხილ სადოპინგო სკანდალთან.

შეგახსენებთ, რომ ულრიხი, ვინც ოლიმპიური და მსოფლიოს ჩემპიონი, 1997 წლის „ტურ დე ფრანსისა“ და 1999 წლის „ვუელტა ესპანას“ გამარჯვებულია, აღნიშნული სკანდალის გამო წლევანდელი „ტურის“ დაწყების წინ მოკვეთეს რბოლიდან და მას შემდეგ უგუნდოდ და პროფესიული ლიცენზიის გარეშეა. არადა, ბოლო წლებში ულრიხი სწორედ შვეიცარიის ველოფედერაციის ლიცენზიით ასპარეზობდა და მისთვის იანვრის დისციპლინარულ მოსმენას და ამ მოსმენის შედეგს სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს.

საინტერესოა, რომ სწორედ იანვარში უნდა გადაწყდეს კიდევ ერთი მოკვეთილი მრბოლის, წლევანდელი „ტურ დე ფრანსის“ გამარჯვებულისა და შემდეგ დოპინგის მიღებაში ბრალდებული ამერკელის, ფლოიდ ლენდისის ბედიც. ასე რომ, დამდეგი იანვარი, რომელიც, ველოსიპედისტებისთვის, ზოგადად, უქმობის თვეა, ამჯერად ფრიად ცხელი და დატვირთულ იქნება, რადგანაც ისეთი მრბოლების ყოფნა-არყოფნა, როგორებიც ულრიხი და ლენდისი არიან, მნიშვნელოვნად შეცვლის ძალთა განლაგებას თანამედროვე ველორბოლის სამყაროში.

გია მუჯირი



ჯალათი რინგზე ბრუნდება

პროფესიულ კრივში დაბრუნებების ეპოქაა — აქტიური სპორტიდან წასული მოკრივეები ნოსტალგიას ვეღარ უმკლავდებიან და. რინგს უბრუნდებიან. ევანდერ ჰოლიფილდისა და აქსელ შულცის შემდეგ მუშტების ქნევა უკანასკნელი ათწლეულის ერთ-ერთ საუკეთესო მოკრივე ბერნარდ ჰოკინსსაც მონატრებია, მაგრამ ეგაა, რომ ერთწლიან უქმობას ჰოკინსზე მაინცდამაინც სასარგებლოდ არ უმოქმედია და ახლა თურმე მარტო იმიტომ ბრუნდება, რომ მის გარეშე სპორტის ეს სახეობა არცთუ სანახაობრივი გამხდარა.

„ბერნარდ ჰოკინსი რინგზე ბრუნდება და მანამდე იჩხუბებს, სანამ საამისო ძალა შერჩება. ის კიდევ სამი-ოთხი წელი შეძლებს რინგზე გასვლას. კრივს ბერნარდი ახლა ძალიან სჭირდება. შეიძლება ითქვას, რომ კრივს ისე უფრო ვჭირდები, როგორც პიროვნება. მნიშვნელობა არ აქვს, გიყვარვართ თუ გძულვართ, მაინც ყველამ იცით, რომ ბერნარდ ჰოკინსი იმედს არასოდეს გაგიცრუებთ“ — ასე მესამე პირში ლაპარაკობს ჰოკინსი, რაც კიდევ ერთხელ ამტკიცებს, რომ მთლად სრულ ჭკუაზე არ უნდა იყოს.

ასეა თუ ისეა ჰოკინსი (ანც დიდ მოკრივედ რჩება. ეს „ჯალათი“ (რომლის ანგარიშზე 47 მოგება, (აქედან 32 ნოკაუტით) 4 დამარცხება და 1 ფრეა) რამდენიმე წელი თავზარს სცემდა საშუალო წონის მოკრივეებს, სანამ 2005 წელს ტიტული ახალგაზრდა ჯერმეინ ტეილორს არ დაუთმო. წარუმატებელი მატჩ-რევანშის შემდეგ ჰოკინსი ქვემძიმე წონაში გადავიდა, ამ წონითი კატეგორიის ერთ-ერთი უძლიერესი მოკრივე ანტონიო ტარვერა გაანადგურა და მხოლოდ ამის შემდეგ მიანება რინგს თავი.

ახლა ჰოკინსი წონის მომატებას და მძიმეწონოსანთა შორის გამოსვლას გეგმავს. „ჯალათმა“ ოლეგ მასკაევს დაუმიზნა და შეეცდება, ყაზახს WBC-ს ქამარი წართვას.

ქახა ლომაია

ახალი გერმანული კოლონია ყაზახეთში
T-მობაილი იცლება, ასტანა ივსება

ესპანურყოფილი, ადრე „ლიბერტი სეგუროსად“ წოდებული, აწ კი ყაზახური ველოგუნდი „ასტანა“ აგრძელებს გერმანული „T-მობაილიდან“ მრბოლების, ტექნიკური პერსონალისა და ხელმძღვანელი პირების გადაბირებას.

ამჯერად ყაზახურმა ფულმა „T-მობაილის“ ყოფილი შეფი მარიო კუმერი მოხიბლა, ვინც ამიერიდან „ასტანას“ სპორტული დირექტორი იქნება ალექსანდრ შეფერთან ერთად.

ყაზახური გუნდის დირექტორმა მარკ ბივერმა აღტაცება ვერ დამალა კუმერთან ხელშეკრულების გაფორმების ეშმდეგ: „ძალიან ბედნიერი ვარ, კუმერი ჩვენთან რომ მოვიდა. მისი პროფესიონალიზმი ჩვენს გუნდს დიდი წარმატებების მიღწევაში დაეხმარება“ — ბრძანა ბივერმა.

უფრო ადრე ყაზახებმა „T-მობაილიდან“ ვალტერ გოდეფრუტი გადაიყვანეს და ტექნიკური დირექტორის პოსტზე დანიშნეს. ძველი „T-მობაილელია“ ჯოვანი ფიდანცაც, ვინც „ასტანაში“ გოდეფრუტის თანაშეწედ მუშაობს.

აქვე შეგახსენებთ, რომ „ასტანას“ ლიდერია ალექსანდრ ვინოკუროვია, ვინც თავის დროზე, ასევე „T-მობაილის“ ღირსებას იცავდა და მის გარდა ყაზახებმა გერმანული გუნდიდან სულ ახლახან ანდრეას კლოდენი გადაიბირეს. არადა, კლოდენი წლევანდელ სეზონში „T-მობაილის“ ლიდერი იყო. ვინოკუროვისა და კლოდენს გარდა, „ასტანას“ რიგებში ირიცხებიან მატიას კესლერი, ედი მაცოლინი და სერგეი ივანოვი, რომლებიც ადრე, აგრეთვე „T-მობაილის“ წევრები იყვნენ.

მარიო კუმერი

გია მუჯირი

კალძაგეს ფული ქამარს ურჩევნია



ბრიტანელმა ჯო კალძაგემ ამერიკელ პიტერ მანფრედოსთან სავარაუდო ჩხუბის გამო IBF-ის ვერსიით საჩემპიონო ქამარზე უარი თქვა. ეს კი იმიტომ, რომ IBF-მა ტიტულისთვის მებრძოლ აუცილებელ პრეტენდენტად გერმანელი რობერტ შტიგლიცი დაასახელა.

„ადვილი არ არის საჩემპიონო ქამართან გამოთხოვება, მაგრამ შტიგლიცთან ჩხუბი არ მინდა. ის უცნობი მოკრივეა და მის შესახებ მხოლოდ გერმანიაში თუ გაუგიათ“ — განაცხადა კალძაგემ.

მაგრამ ბრიტანელი მოკრივე მისმა პრომოუტერმა გასცა — საქმე იმაში ყოფილა, რომ HBO (პროფესიული კრივის ტელეტრანსალიციების მფლობელი კომპანია) არ აპირებს კალძაგე — შტიგლიცის ბრძოლის ტრანსლირებას, მაგრამ თანახმაა, ბრიტანელის მანფრედოსთან ჩხუბი გადასცეს. ტელეტრანსლიაცია კი ჰონორარის მნიშვნელოვნად გაზრდას ნიშნავს და კალძაგეს ტიტულზე უარის თქმის რეალური მიზეზიც აშკარად აქ იმალება.

ქახა ლომაია

ჩვენ ჩვენი ვთქვათ

საჩოგბურთო სამყარო დევისის თასის ფინალის მოლოდინშია. ამ უქმეებზე მოსკოვში რუსები და არგენტინელები ვერცხლის სასალათის მფლობელის ვინაობას გაარკვევენ და ამით წლევანდელი სეზონი ოფიციალურად დასრულდება. თუმცა არის კიდევ პატარა საჩოგბურთო ტურნირები და ჩვენც უფრო მეტად ისინი გვაინტერესებს, რადგანაც საუკეთესო ქართველი ჩოგბურთელები ამ ეტაპზე სწორედ ასეთ ტურნირებზე თამაშობენ.

ამ კვირაში ITF-ის ეგიდით მიმდინარე შეჯიბრებებზე სამი ჩვენებური ცდის ბედს — ლადო ჩიხლაძე, მაკა ჩახნაშვილი და მანანა შაფაქიძე.

ლადო ჩეხურ ვენდრინშია, სადაც ჭერქვეშა ჰარდზე 15 ათასი დოლარი საპრიზო ფონდის მქონე ტურნირი ტარდება და, სავარაუდოდ, ჩვენებური ძირითად ბადეში იქნება. ძირითად ბადეშია საქართველოს საუკეთესო ჩოგბურთელი ქალი მაკა ჩახნაშვილიც, ვინც იტალიაში, მილანის ხალიჩაზე, 50 ათასიან შეჯიბრში გამოდის და პირველ წრეში კლასიფიკაციის 177-ე ნომერს, ჩეხ ლუსი ჰრადეცკას შეხვდება. ისე, მილანში საკმაოდ ძლიერმა შემადგენლობამ მოიყარა თავი. მათ შორის, WTA-ს რეიტინგის პირველი ასეულის სამი წევრია — იტალიელი მარია ელენა კამერინი, ფინელი ემა ლაინე და ჩეხი ევა ბირნეროვა.

რაც შეეხება შაფაქიძეს, მან ისრაელში, თელ ავივის 10 ათასიანი ტურნირის ძირითად ბადეში თამაშის უფლება კვალიფიკაციის გავლით მოიპოვა. მანანა კვალიფიკაციის პირველ წრეში თავისუფალი იყო. მეორე ეტაპზე ქართველმა უკრაინელ ანასტასია ვასილიევას 5:7 6:1 6:4 მოუგო, ხოლო მესამე წრეში, ასევე სამ სეტში — 6:4 4:6 7:5 სძლია ჰოლანდიელ არანჩა რუსს.

ძირითადი ტურნირის პირველ წრეში შაფაქიძე რეიტინგის 497-ე ნომერს, პორტუგალიელ სილვას შეხვდება.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი ბიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი ქახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი: ვაჟა ხუციშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ბიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლარიოვა, ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნაშვილი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge